645
1977 4

# საბჭოთა ქალი

აპრილი
№ 4 1977 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა.

ო. თურქიას და გ. კიკვაძის ფოტო

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი წინამძღოლი

წლეულს მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა ზეიმით აღნიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს — რევოლუციისა, რომელმაც დასაბამი მისცა მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიულ პროცესებს, რევოლუციისა, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა ადამიანთა და ხალხთა ცხოვრება დედამიწის უდიდეს ნაწილზე.

და ამ უდიდეს ძვრებსა და გარდატეხებში, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს — მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დაარსებაში განუზომელი წვლილი მიუძღვის რევოლუციის დიდ სწავლულს, რევოლუციური მოძრაობის გენიალურ თეორეტიკოსსა და პრაქტიკოსს ვლადიმერ ილიას ძე ლენინს.

ლენინი 107 წლის წინათ, აპრილში დაიბადა და მთელი თავისი სიცოცხლე კაცობრიობის მარადიული გაზაფხულის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში გაატარა.

წარმოუდგენლად დიდია ვლადიმერ ილიას ძის როლი XX საუკუნის ხალხთა ცხოვრებაში. არ არის კუთხე დედამიწაზე, სადაც არ იცნობდნენ ჩვენი საუკუნის ამ უდიდეს ადამიანს, რომლის უკვდავი იდეები ეხმარება ადამიანებს, ღრმად ჩასწვდნენ წარსულისა თუ აწმყოს ცხოვრებისეულ პროცესებს, მეცნიერულად განსჭვრიტონ კომუნისტური მომავალი. ლენინი მარად ცოცხალია, დღესაც წინ მიუძღვის თავისუფლებისათვის, ადამიანური უფლებებისათვის, ბედნიერებისათვის მებრძოლთ!

ამიტომ არის, რომ დღეს, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავზე, მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა დიდი მადლიერების გრძნობით და ულრმესი პატივისცემით წარმოსთქვამს სოციალისტური რევოლუციის გენიალური ავტორის სახელს.

მსოფლიოს ჩაგრულნი, ექსპლოატირებულნი, უუფლებონი ლენინის სახელს უკავშირებენ ნათელ იმედებს, ხოლო თავისუფალნი და ალმავლობის გზით მიმავალნი დროშად წარიმძღვარებენ წინ ლენინს, როგორც ცოცხალს ცოცხალთა შორის. მას მიმართავენ ადამიანები ტრიბუნებიდან თუ წერილობით, ზეიმისა თუ შეჭირვების ჟამს.

„მოსკოვი, კრემლი, ვლადიმერ ილიას ძე ლენინს!“ — ამ მისამართით დღესაც იგზავნება წერილები საბჭოთა სახელმწიფოს დედაქალაქში და აგერ, ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ადამიანთა შეუწყვეტელი ნაკადი მიედინება მსოფლიოს ყოველი კუთხიდან — წითელი მოედნისაკენ, ლენინის მავზოლეუმისაკენ, რათა მას, მარად უკვდავს, დაუდასტურონ თავიანთი ღრმა სიყვარული და პატივისცემა.

განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით მივმართავთ ბელადს სოციალისტური ქვეყნების ქალები — წარსულში ყველა დამცირებულთაგან ორმაგად დამცირებულნი, ორმაგად დამონებულნი, ორმაგად ექსპლოატირებულნი, დღეს სრულუფლებიანი წევრნი საზოგადოებისა, თავისუფალი მოქალაქენი და ახალი ცხოვრების შთაგონებული შემოქმედნი — მადლიერებით, რადგან ჩვენი საუკუნის კეთილ გარდაქმნათაგან ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი გარდაქმნა ქალთა ცხოვრებაში მოხდა.

ლენინის ორმოცდაათზე მეტ ნაშრომში ვპოულობთ ქალთა განთავისუფლების ამა თუ იმ პრობლემის გაშუქებას.

თუ მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟზე ლენინი აუცილებლად თვლიდა ქალთა თვითშეგნების ამაღლებას და მათს მუშათა მოძრაობაში ჩაბმას, მოგვიანებით ბელადს შეუძლებლად მიაჩნდა სოციალისტური გადატრიალება, თუ მასში ქალთა ფართო მასები არ მონაწილეობდნენ.

ლენინი მარტო ქალთა სოციალური განთავისუფლების თეორეტიკოსად როდი გვევლინება. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოცემულ პირველსავე დეკრეტებში, რომლებიც კაცობრიობის ამ მეორე ნახევრის კეთილდღეობისაკენ იყო მიმართული.

ქალის ნამდვილი და მთლიანი განთავისუფლებისათვის, მისი კაცთან უფლებრივი გათანასწორებისათვის ლენინს აუცილებლად მიაჩნდა ქალთა ფართო მონაწილეობა საზოგადოებრივ წარმოებაში.

გამართლდა ვ. ი. ლენინის წინასწარდასახულობა: ქალთა შრომითი აქტივობა, მათ მიერ პროფესიების ფართო რკალის დაუფლება, ინტელექტუალური ზრდა, ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაწინაურება, ქალის სახელისა და ღირსების ამაღლება უშუალოდ არის დაკავშირებული სოციალიზმის მშენებლობის ამა თუ იმ ეტაპთან — ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასთან, სახალხო მეურნეობის განუხრელ აღმავლობასთან. და ამავე დროს, თანახმად ლენინის ანდერძისა, საბჭოთა ქვეყანაში უდიდესი შრომაა გაწეული ქალთა სწავლისა, შრომისა, დასვენებისა და ბედნიერი დედობისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად. ეს საკითხები კომუნისტთა ყოველი შეკრების — პლენუმისა თუ ყრილობის დღის წესრიგში დგას. ამ საკითხებზე გამახვილდა სკკპ XXV და საქართველოს კპ XXV ყრილობების ყურადღება, ამ საკითხების, საყოფაცხოვრებო საკითხების მაღალ დონეზე მოწესრიგებას მიეძღვნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის V პლენუმი, ამაზე იმსჯელებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიაც.

და ამ ზრუნვით გარემოსილი საქართველოს ქალებიც, მოძმე რესპუბლიკების ქალებთან ერთად, გულმხურვალედ იღვწიან პარტიის XXV ყრილობის გრანდიოზულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მეათე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის, საბჭოთა სამშობლოს შემდგომი განმტკიცების, გაძლიერებისა და აყვავებისათვის, განუხრელად მიიწევენ სულ წინ და მაღლა ხუთწლედების საფეხურებით, იმარჯვებენ გონებისა და ოსტატობის მსოფლიო ასპარეზობებში, იხვეჭენ სახელსა და დიდებას.

დიახ, ამ განწყობილებებით შრომობს და იღვწის დღეს ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ქალი და რაც უფრო იზრდება, რაც უფრო მაღლდება, მეტი სიყვარულითა და პატივისცემით მოხსავს ხალხთა დიდი წინამძღოლის უკვდავი ლენინის სახელს.



რაიკომის მდივანს მიღება აქვს

# რაიონის დღეები

პარტიის მახარაძის რაიკომის მეორე მდივა-ნი მაყვალა ჟღენტი დაუსწრებლად გავიცანი — რადიოთი მოვისმინე მისი საუბარი სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საკითხებზე. ვიგრძენი, რომ ის კომპეტენტური, საქმეში ჩახედული ადამიანი იყო, რომელიც გაბედულად სვამდა პრობლემატურ საკითხებს და მიუთითებდა ამ პრობლემების გადაჭრის მეცნიერულად დასაბუთებულ გზებსა და საშუალებებზე. მასშტაბურად მოაზროვნე, შორსმჭვრეტელი მუშაკის შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მაყვალა ჟღენტმა.

ეს წარმოდგენა კიდევ უფრო განმტკიცდა, როცა პირადად ვნახე იგი. ერთი შეხედვით მას თითქოს არაფერი აქვს განსაკუთრებული. ვერც გამოარჩევ ასობით ახალგაზრდაში. სასიამოვნოდ რბილი, ოდნავ შესამჩნევი გურული კილო მიგვანიშნებს, რომ მაყვალა ამ მიწის, ამ ხალხის შვილია.

ეს გარეგნული უბრალოება კიდევ ერთ შტრიხს მატებს განათლებული, დინჯი და პრინციპული პარტიული მუშაკის პორტრეტს. ორი საათი შეუმჩნევლად გავიდა რაიკომის მდივნის სამუშაო კაბინეტში. საუბარი მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის დღევანდელ და ხვალინდელ დღეს შეეხებოდა. რა თქმა უნდა, თავდაპირველად ჩაით დავიწყეთ. მახარაძელ მეჩაიეთა შრომა და შედეგები სანიმუშოა რესპუბლიკაში. შარშან მახარაძელებმა ჰექტარზე საშუალოდ 6.800 კგ ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფეს და სამშობლოს 61 ათასი ტონა „მწვანე ოქრო“ მისცეს.

— ამაზე უკეთესი შედეგის მიღწევა თითქოს შეუძლებელია, მაგრამ — მოსავლიანობას 7 ათას კგ-მდე გავადიდებთ, — ამბობს მაყვალა ჟღენტი — საამისო რეზერვები გამოვძებნეთ. მაკვანეთის კოლმეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე 5 300 კგ ჩაის კრეფენ, ლიხაურსა და ნაღობილევში კი 5 900 კგ-ს. თუ ამ მეურნეობებს მოწინავეთა დონეზე ავიყვანთ, მაშინ რაიონში ჩაის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე შვიდიათას კგ-ზე მეტი იქნება.

მან ღიმილით გამანდო რაიონის ხელმძღვანელებისა და მეჩაიეების ჩანაფიქრი: ჩაის წარმოების მოცულობით აპირებენ გაუსწრონ აფხაზეთის ასს რესპუბლიკას.

მახარაძელები ახლო მეზობლებს — ქობულეთელ მეციტრუსეებსაც ეჯიბრებიან. ჯერჯერობით ქობულეთელებს გაცილებით მეტი ციტრუსები მოჰყავთ, მაგრამ მახარაძელები

დარწმუნებული არიან, რომ უახლოეს წლებში მათ დაეწევიან და გაუსწრებენ კიდეც.

მახარაძის რაიონში ახლა 1.035 ჰექტარი ციტრუსოვანთა ბაღია, გარდა ამისა, მერიის, ნაღობილევის, თხინვალის ზონაში მეციტრუსეობისათვის საჭირო ტიპური ნიადაგებია. მახარაძელები სწორედ აქ აპირებენ სპეციალიზებული მეურნეობის შექმნას.

— მაგრამ ჩვენი მთავარი რეზერვი მაინც მოსავლიანობის გადიდებაა, — ამბობს მაყვალა ჟღენტი. ეს რეზერვი მართლაც რომ მნიშვნელოვანია. თქვენ თვითონ განსაჯეთ, ციტრუსოვანთა 1.035 ჰექტარიდან საზოგადოებრივ ბაღებს 800 ჰექტარი უჭირავს, მაგრამ აქ საშუალოდ ჰექტარზე მხოლოდ 35 ცენტნერს კრეფენ ნაყოფს, მაშინ, როცა პირად სექტორში ოთხჯერ მეტი იკრიფება. ამ სხვაობის ძირითადი მიზეზები ბაღების სიმეჩხრე, და აგროტექნიკის დაბალი დონეა.

მახარაძის რაიონში ღრმად შეისწავლეს ეს საკითხი და პრაქტიკული ნაბიჯები გადადგეს სიმეჩხრის მოსპობისათვის, სასუქების სწორად გამოყენებისათვის, ქარსაფარების აშენებისა და სარწყავი ქსელის მოწყობისათვის, ახალი ბაღების გაშენებას ძირითადად ყინვაგამძლე ნაგალა ჯიშებით აპირებენ.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდება მარტო ბეჯით შრომაზე და აგროტექნიკის მოთხოვნების ზუსტად დაცვაზე როდია დამოკიდებული. მთავარია ისე მოეწყოს მეურნეობა, რომ მცირე მატერიალური და შრომითი დანახარჯებით მეტი ეკონომიური ეფექტი მივიღოთ. ამის მიღწევა კი მხოლოდ წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გზით შეიძლება.

რაიონში შექმნილია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის სპეციალური კომისია. მასში გაერთიანებული არიან საკოლმეურნეო წარმოების ცნობილი ორგანიზატორები, სოციალისტური შრომის გმირები მიხაკო ორაგველიძე და გივი წითლიძე, სახელოვანი მეჩაიეები, სოციალისტური შრომის გმირები გუგული ქადეიშვილი და ლიდა კოსენკო, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ ჯაყელი და სხვები.

მაყვალა ჟღენტი ამ კომისიის წევრია, მისი მოვალეობაა ეკონომიური ანალიზი გაუკეთოს რაიონის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ყოველ ღონისძიებას.

სპეციალიზაცია და კონცენტრაცია დიდ ეკონომიურ ეფექტს მისცემს მახარაძელებს. რაიონის ყველა მეურნეობას თავისი სატრაქტორო პარკი აქვს. იმის გამო, რომ ისინი სრულად ვერ იყენებენ მანქანებს, თითოეული ტრაქტორის დატვირთვა 500 ჰექტარს არ აღემატება. ამიტომ აპირებენ საკოლმეურნეობათაშორისო სატრაქტორო პარკის შექმნას, სადაც ტექნიკა მაქსიმალურად იქნება გამოყენებული, მახარაძელებმა გადაწყვიტეს საკვებმოპოვების საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციის მოწყობაც. ამ გზით მეურნეობებს დიდძალი სახსრები დაეზოგებათ და საზოგადოებრივი პირუტყვის საკვებით მომარაგებაც გაუმჯობესდება. მთავარი კი მაინც მეცხოველეობის კონცენტრაციაა. წვრილ-წვრილ ფერმებში გაბნეულ პირუტყვს მახარაძელები სპეციალიზებულ კომპლექსებში აერთიანებენ. მექანიზაციის, ავტომატიზაციისა და შრომის პროგრესული ორგანიზაციის პირობებში ისინი შეძლებენ დიდი რაოდენობით აწარმოონ ხორცი და რძე. ამ გზით მეცხოველეობა, რომელიც ჯერჯერობით წამგებიანია და მძიმე ტვირთად აწევს რაიონის ეკონომიკას, რენტაბელურად გადაიქცევა.

კიდევ ბევრი კეთილი საქმის განხორციელებაზე ფიქრობს მაყვალა ჟღენტი.

მის სამუშაო მაგიდაზე წიგნები აწყვია. რვა სამეცნიერო ნაშრომის ავტორი მუდმივ ძიებაშია. რაიონის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პრობლემების გადაწყვეტა, თუ მეცნიერული ცოდნა არა გაქვს, წარმოუდგენელია. მისი მასწავლებელი, ცნობილი ეკონომისტი პროფესორი ივანე ჯავახიშვილი დიდ იმედებს ამყარებდა თავის სტუდენტზე. პარტიის მახარაძის რაიკომის მდივანი, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი მაყვალა ჟღენტი ამართლებს ამ იმედებს.

ვლ. გოგოლაშვილი





მაყვალა ჟღენტი ესაუბრება მექანიზატორებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ჟურნალში სტუმრად არის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კომუნისტური შრომის დამკვრელი გივი რიმნისთაველი

# კაცური კაცი

## ნარკვევი

ქუთაისმა რომ გამოისტუმრა, დაარიგა: გახსოვდეს, სადაური ხარ, ყველგან და ყველაფერში კაცური კაცი იყავიო. წამოსვლამდე ერთხელ კიდევ მოიარა სათაფლია, გაიხსენა ბალღობა — დინოზავრების კვალს რომ ეძებდა, ავიდა ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან და იქიდან გადმოხედა საყვარელ ქალაქს. ბოლოს გელათის გუმბათს შეავლო თვალი და... მატარებელმა დააშორა ბავშვობას.

მოჰქონდა ერთი ჩემოდანი და სამაისო ქუთაისის ლოცვა: არ შემარცხვინო, გახსოვდეს სადაურიც ხარო!

თბილისში პირველად გაუჭირდა, დაიბნა პროფესიის არჩევაში. შემთხვევით, ისე, რომ გული არ მიუწევდა მაინცდამაინც, ჯერ ერთ ადგილზე მოეწყო, მერე მეორეზე, მაგრამ ვერსად ვერ გაძლო, ჩაუკვირდა საკუთარ თავს და გონებისა და მკლავის მეტი დაძაბვა მოუნდა. მერე მუშების ნამდვილი სამჭედლო, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანი“ აირჩია. იქაურ მუშათა ათასობით გვარს ახალი გვარი შეემატა — რიმნისთაველი გივი, ქართველი, დაბადების წელი — 1932. მეფეხსაცმლეთა კოლექტივი კი ერთი შეუმჩნეველი, თავმდაბალი, მაგრამ მოუსვენარი სულის ადამიანით გაიზარდა.

გადამჭიმავ საამქროში რომ კონვეიერთან დადგა, იფიქრა, ვერც აქ გავჩერდებიო. კიდევ ვერ ნახა თავისი მკლავისა და გონებისათვის ფართო ასპარეზი. „თითქმის საქმე არაფერია, დგეხარ კონვეიერთან და ფუჭდები“... ამიტომ შეეხვეწა სატვიფრო საამქროს გამომკვეთთა ბრიგადის ბრიგადირს გოგი გოგოლაძეს: შენი მოწაფეობა მსურს და ფეხსაცმლის საძირე ტყავის გამოკვეთა მასწავლეო.

რომ არ ელოდა, ისეთი ნიჭიერი მოწაფე შეხვდა გოგოლაძეს. მასწავლებელს სჯობდა საზრიანობით, დაკვირვებით... დამოუკიდებლად რომ დაიწყო მუშაობა, ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომ ბრიგადირობა შესთავაზეს. მასწავლებელი კი გამომკვეთთა მეორე ბრიგადას ჩაუყენეს სათავეში.

გულთმისანივით ათვალიერებდა საძირე ტყავს. აიღებდა ხელში, დააკვირდებოდა და თითქოს კითხულობდა კიდეც რაღაცას. უტყუარი, საზრიანი თვალი ჰქონდა ბრიგადირს. ერთს გადააბრუნებდა ტყავს, სხვადასხვა მხრიდან შეხედავდა და უკვე იცოდა, სად უნდა დაერტყა საჭრისი, რომ მეტი და კარგი საძირე გამოეყვანა, იმაზე მეტი, რაც ევალებოდა.

შინ, როცა ვაჟიშვილები დაიძინებდნენ და მეუღლეც მიხურავდა კარს, მუყაოს აიღებდა, ვარჯიშობდა, გამოჰყავდა საძირეები. ვინმეს რომ ამ დროს ენახა, იტყოდა, ამხელა კაცი ბავშვივით თამაშობსო. არადა, აქ იწყებოდა შემოქმედება, ახალი გზების ძიება, დანაკარგების თანდათან შემცირება, გამომგონებლობა, დროის მოგება, ხარისხის ამაღლება.

შეიქმნა აზრი, რომ ყველა შეიძლება იყოს შემოქმედი. რიმნისთაველმა დაამტკიცა, რომ სწორედ მუშა, რომელიც დგას დაზგასთან და ხმარობს საჭრისს, შეიძლება ხედავდეს თავისებურად, წყვეტდეს თავისებურად, იყოს შემოქმედი!

ყველა თავის ფიქრსა და მიღწევას რიმნისთაველი ბრიგადის წევრებს აცნობდა. მაგრამ 1971 წელს მხოლოდ სამმა იმუშავა მისი მეთოდით — თვითონ ბრიგადირმა, მისმა მოწაფემ მიშა ელბაქიძემ და როლანდ სიფრაშვილმა. ამიტომაც, თუ საამქროს ორ ბრიგადას 600 ათასი კვადრატული დეციმეტრი ტყავი უნდა დაეზოგა, სამმა კაცმა ბევრი ვერ გააკეთა, ეს გეგმა ვერ შესრულდა და მხოლოდ 277 ათასი კვადრატული დეციმეტრი დაიზოგა.

გივიმ გააძლიერა საკუთარი მეთოდის სწავლება საამქროში, რადგან მიხვდა, რომ ხელს უშლიდა საქმის არცოდნა. ისიც ესმოდა, რომ მუშას სჭირდებოდა ბინა, მომარაგება, პროდუქტები, ოჯახური სიმშვიდე, ბავშვების კარგად ყოფნა, პრემია.

1972 წელს 28 ათასი კვადრატული დეციმეტრით გადააჭარბეს ეკონომიის გეგმას და ორმა ბრიგადამ 628 ათასი კვადრატული დეციმეტრი საძირე ტყავი დაზოგა. ეს პირველი გამარჯვება იყო.

1973 წელს ციფრი 700 ათასამდე ავიდა. მეცხრე ხუთწლედში ორივე ბრიგადის ბიჭებმა 3 მილიონი კვადრატული დეციმეტრი ტყავი დაუზოგეს წარმოებას, თანაც უმაღლესი ხარისხის საძირეები დაამზადეს.

პირადად გივი რიმნისთაველს მეცხრე ხუთწლედის ყოველ წელს 20 ათასი კვადრატული დეციმეტრი ტყავი უნდა დაეზოგა. მაგრამ პირობას გადაამეტა და 59 ათასი კვადრატული დეციმეტრი ტყავი დაზოგა.

წარმატებებმა თავბრუ როდი დაახვია გამომკვეთებს. პირიქით, გააძლიერეს ბრძოლა ახალი მიჯნებისათვის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის, სრულყოფილად აითვისეს ბრიგადირის პირადი პროგრესული მეთოდები, აიმაღლეს ტექნოლოგიური ოსტატობა და ჩვევები, სრულყოფილად დაეუფლნენ მოწყობილობას, ტყავის კვეთის ტექნოლოგიას, გახდნენ დისციპლინირებულნი, ისწავლეს წუთის ფასი.

თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანში“ დღეს ბევრი შრომობს რიმნისთაველის მეთოდით. ფაბრიკის სკოლაში, სადაც მეცადინეობებს გივი ატარებს, სწავლობენ მოწყობილობის მოვლას, რეჟიმის დაცვას, შრომისა და სამუშაო ადგილის სწორ ორგანიზაციას, მანქანა-მოწყობილობებს, უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვას, მუშაობის ყველაზე ოპტიმალური და რაციონალური ხერხებისა და დროის გონივრულ გამოყენებას, ტყავის ტოპოგრაფიული უბნების განლაგებას, ინსტრუმენტის სწორ მომარჯვებას.

რიმნისთაველი კი მაინც ერთია. მასავით მაინც ვერავინ ხედავს და ვერავინ ქმნის. მაგრამ მას ჰყავს მიმდევრები და ეს არმია თანდათან იზრდება. რიმნისთაველი ჯერჯერობით მუშაობს ყველა სახის წესების დაცვით და საკუთარი მეთოდით დღეში 2 ათასამდე წყვილ საძირეს ჭრის. ეს მაშინ, როცა ყველა ძირი უმაღლესი ხარისხისაა და დანაკარგები ძალზე მცირე.

რიმნისთაველი თითქმის უდანაკარგოდ, ეკონომიისა და მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმით მუშაობს.

მას თავისი თვალსაჩინო შრომითი მიღწევებისათვის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მიეკუთვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მუშები თითზე ჩამოითვლება.

ადამიანი ძიებისათვის არის გაჩენილი, — ეს აზრი არ ასვენებს გივის და კვლავ ეძებს ახალ რეზერვებს.

გივი საამქროშია. სამუშაო ხალათი აცვია. დგას მანქანასთან და ეთიშება სამყაროს. მარტო რჩება თავის საქმესთან. იღებს ტყავს, ათვალიერებს, ხელით სინჯავს მის სიმტკიცეს და სისქეს, იხსომებს, სად არის წუნი და იქვე იმუშავებს გამოკვეთის მეთოდს. მან უკვე იცის, როგორ გამოკვეთოს ეს ტყავი, რომ ეკონომიაც გასწიოს, დროც დაზოგოს და ხარისხიც შეინარჩუნოს. ტყავი გადააქვს უკანა მაგიდაზე და ახლა სხვა ტყავს ათვალიერებს.

გივი ცალი ხელით იღებს უკვე შესწავლილ ტყავს უკანა მაგიდიდან და მოხერხებულად ათავსებს გამოსაკვეთ მაგიდაზე. მარჯვენა ხელით სწევს საჭრელს და აყენებს ტყავზე, მარცხენა ხელით აწვება სახელურს, სარტყამი მექანიზმი ეშვება საჭრელზე და კვეთს დეტალს. მარჯვენა ხელით აბრუნებს საჭრელს გამოსაკვეთ ტყავზე, წინასწარ მოფიქრებული და გაზომილი გეგმით, მარცხენა ხელით კი ისევ და ისევ აწვება სახელურს, სანამ საჭრელი არ აივსება გამოჭრილი დეტალებით. რომელსაც გივი ახალი დეტალის გამოკვეთამდე ხელში არ იღებს საჭრელს, ტყავის ზედაპირზე ასრიალებს და არჩევს უკეთეს მდგომარეობას, ის ზოგავს დროს, ზრდის შრომის ნაყოფიერებას, თითქმის სულ არაა აქვს დანაკარგები და თავიდან იცილებს საფრთხეს.

შემდეგ გივი მარჯვენა ხელით სწევს დეტალებით სავსე საჭრელს, აბრუნებს მარცხენა ხელის გულზე, ერთდროულად ცერს აჭერს ქვედა დეტალს და გამოდის საჭრელიდან მზა საძირეები. მარჯვენა ხელით გამომკვეთი მათ წნეხის მაგიდაზე აწყობს, ორივე ხელით სინჯავ ს ხარისხს, ალაგებს ყუთში, მაგიდიდან იღებს ნარჩენებს და ყრის ბუნკერში.

ასეთია რიმნისთაველის მუშაობის მეთოდი.

მთელ ამ ოპერაციაზე, 100 კვადრატული დეციმეტრი ტყავის გამოკვეთაზე გივი 156,6 წამს ხარჯავს, მაშინ, როცა ამ საქმისათვის 444 წამია გათვალისწინებული. გივი რიმნისთაველმა მუშაობის ისეთი ილეთები შეიმუშავა, რომ სამჯერ ნაკლები დრო სჭირდება, რაციონალურად იყენებს ტყავს, აუმჯობესებს ნაწარმის ხარისხს, და ნაკლებად იღლება.

...ოპერაცია თავიდან იწყება და მანამ გრძელდება, სანამ არ დამთავრდება სამუშაო დღე, სანამ რიმნისთაველი მეოთხიათასე ცალ საძირე დეტალს არ ჩადებს ყუთში.

ისვენებს მანქანა. ისვენებს მისი პატრონი. მაგრამ სადაც არ უნდა იყოს იგი, ყველგან შემოქმედად რჩება, ყველგან თან ახლავს ფიქრი ხვალინდელ დღეზე, მომავალზე, ახალ რეზერვებზე.

ეს ხვალეც მოვა! საამქროში ახალი მანქანები დადგმება, რომლებიც ნაკლებად იხმაურებს და მეტ დროს დაუზოგავს მუშას, ვინაიდან სარტყამი მექანიზმი ხელის მაგიერ ფეხით ამოძრავდება და განთავისუფლებული ხელი სხვა საქმეს შეასრულებს.

ეს ხვალეც მოვა! იგი ახალ გამარჯვებას მოიტანს. ამის თავდებია მეათე ხუთწლედის პირველი წლის მიღწევები — რიმნისთაველის ბრიგადამ 320-ის ნაცვლად 400 ათასი კვადრატული დეციმეტრი საძირე ტყავი დაზოგა, ბ'იგადირმა კი — 59 ათასი.

ეს ხვალეც მოვა! 1977 წლის 1 ნოემბერს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავის შეხვედრისას გივი შეასრულებს პირად მეათე ხუთწლედს ეკონომიის ხარჯზე და ახალ ხუთწლედს დაიწყებს, რომელსაც 1978 წელს დაასრულებს. სოციალისტური შრომის დამკვრელი ამ ორ ხუთწლედში 240 ათას კვადრატულ დეციმეტრ ტყავს დაზოგავს.

რიმნისთაველის მიმდევართ რიცხვი თანდათან იზრდება. მისი მუშაობის მეთოდის შესასწავლად ივლისში, თბილისში გაიხსნება სკოლა, სადაც საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ჩამოვლენ მსმენელები.

აი რატომ გაისმის ყველგან და ყოველდღიურად:

ვიშრომოთ რიმნისთაველისებურად!

ვიღვწოდეთ რიმნისთაველისებურად!

ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოუდგენელი ეკონომია გასწიო შენი წარმოებისათვის, შენი ქვეყნისათვის.

ეს ნიშნავს, ნაკლებ დროში ბევრი შექმნა! ეს ნიშნავს, ფლობდე მანქანას, მბრძანებლობდე მას და მხოლოდ უმაღლესი ხარისხის ნაწარმს იღებდე.

რიმნისთაველური მოძრაობა თავისი მასშტაბებით სტახანოვური მოძრაობის ტოლი ხდება. იგი სულ ახალ და ახალ შინაარსს იძენს. ეს იმიტომ, რომ დღევანდელი მუშა გონიერია, მისი აზრი ვითარდება, ეძიებს და პოვებს.

რიმნისთაველი საკუთარი თავით კი არა, ბრიგადით ამაყობს, რომელსაც კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელი აქვს მინიჭებული. ბრიგადაში 10 კაცია და მხოლოდ ერთია მათ შორის ქალი. სამუშაო ქალისთვის ერთობ მძიმეა, მაგრამ აზატა ბარბარიანი ზედმიწევნით ფლობს თავის საქმეს და ბრიგადირის მეთოდი უმსუბუქებს სიძნელეს. აბა, წარმოიდგინეთ, 5-კილოგრამიანი საჭრელის აღება ხელით დღეში ათასჯერ, მეტჯერაც!.. სწორედ აქ არის საიდუმლო. რიმნისთაველმა ასწავლა ამ სიმძიმის მსუბუქად ტარება.

ეს მეთოდი გასცდა საამქროებს, ფაბრიკას, თბილისს, რესპუბლიკას. ამ მეთოდით დაინტერესებული არიან საბჭოთა კავშირში.

...თავად ერთი თავმდაბალი კაცია, ვერავისგან გამოარჩევ, არც რაიმე პრეტენზია აქვს, არც რაიმე წარმოდგენა საკუთარ თავზე. იცის საჭრელი და ტყავი. ზედმიწევნით იცის ერთიც და მეორეც. უყვარს ადამიანები და შრომა.

ამიტომაც იმარჯვებს!

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლალი მარტაშვილი

# მარგალიტა

მოთხრობა

მან კაკლის ქვეშ სიპთან ჩაიმუხლა. მუჭიდან ორიოდე მარცვალი სიმინდი დააგდო სიპზე, „წიგო-წიგოს“ ძახილი გააბა და სიმინდის ნაყვის აკომპანიმენტი ააყოლა. კრუხმა კუტკუტით წაასხა ჭუჭულები იქითკენ. მერე ღობისძირას დადგმული ნატეხრიდან წყალიც შესთავაზა და „ჰაე, ჰაე, ძერა, ძერას“ ყვირილიც ატყდა. კრუხმა ფხაჭაგლეჯით გაიყოლა თვალებდაჭყეტილი ჭუჭულები ჭყიმის ბუჩქისაკენ.

საფრთხემ გადაიარა და კრუხმა ღობესთან დაიწყო პირველი „გაკვეთილი“. ერთი ორჯერ აუარ-ჩაუარა. ფონი უპოვა ღობეს, გაძვრა და ისინიც გაიყოლა ნაფეხურზე. ბენტერა ჭუჭულებს რა ფიქრად მოუვიდოდათ, რომ დახურული ზონა არ უნდა გადაელახათ. მიწა ნაწვიმარი და აფუმფულებული იყო, ლობიო — ახალი გათოხნილი. კრუხმა ღაჭკრა ბრჭყალი და მტკავლიან ლობიოს ბუჩქს ფესვები გამოუჩინა, ერთი მსუქანი ჭიაყელაც ჩაიკლაკნა, მარგალიტა რომ აწივლდა...

კრუხმა კრიახი ატეხა, აქეთ ეცა, იქით ეცა, იპოვა სახსარი და გამოძვრა. ბედშავმა ჭუჭულებმაც ბევრი იწივწივეს და დედას შეუძვრნენ ფრთაში. კრუხმა მშვიდად ჩახუნჩა თავი, მაგრამ მარგალიტას რა დააწყნარებდა. მთელ უბანს სწვდებოდა იმისი მწივანა ხმა. ახლა უკვე აღარ იხსენიებოდა ძირგამოღადრული ლობიოს ბუჩქი. ავმა სიტყვამ ძირს დასცა ქეთოს ოჯახი („პატრონ ამოსაწყვეტი კრუხი“ ხომ ქეთოსი იყო“). მთელმა უბანმა იცოდა, მარგალიტა ატყდებოდა და აღარ დადგებოდა. ქეთოც აუძრახდა. მაგრამ როცა მარგალიტა „დაუკრეფავში გადავიდა“, ქეთომაც გადმოხეთქა — შენ ეგერ შენს ბერბიჭას მიხედეო. მარგალიტა შეპასუხებას არ იყო ნაჩვევი. ახლა ამ სიტყვებმა ლამის ხმა ჩააქრობინა. ერთი ქოქოლა კი მიაყარა, მეხი კი დაგეცაო მიაძახა და შინ შეტრიალდა. იმ ერთმა სიტყვამ კი არ დააძინა და მთელ ღამეს შამფურივით ატრიალა ლოგინში.

გივი ბერბიჭაა? რად დაუძვირდა ბიჭს ბედი? დაიცა, ვინ არის კარგი გოგო ჩვენს სოფელში? დაიცა, ნანული ვითომ უყვარდა გივის? ეკამათებოდა თავისთავს მარგალიტა და ყოველ შეკითხვას „დაიცათი“ იწყებდა, თითქოს მსმენელი ჰყავდა და ის ეწინააღმდეგებოდა.

ასე იყო — გივის საცოლე ჯერ მარგალიტას უნდა მოსწონებოდა. გივი „აუწონავი ოქრო“ იყო — იმისი საფერი ქალი ძნელად მოიძებნებოდა. აბა ვინ იყო მაღალი, თეთრი, ზომიერად გასუქებული (ჭირივით სძულდა მარგალიტას გამხდარი გოგოები: ზოგს წეროს ეძახდა, ზოგს ფიცარს, ზოგს ჩხირს, ნემსიყლაპიას), კარგი ოჯახის შვილი (ოჯახზეც თავისი განსჯა ჰქონდა მარგალიტას. იცი რა ოჯახი აქვთ? იტყოდა და განმარტავდა — ორსართულიანი სახლი; ზევით-ქვევით გამოჭურჭლული,) პატარძლის დიპლომიც უნდოდა მარგალიტას, „ც“ კი არა, ამაზე ლაპარაკიც მეტი იყო.

დედამთილი დავობდა, „დაიცა“ რასა ჰქვიან, ქალო, „ქალი იჯდა, ბედს ელოდა, ვაჟი იჯდა ბერდებოდაო“. მაგრამ მაგრალიტა ისეთი ქალი არ იყო, ადვილად დამორჩილებოდა დედამთილის სურვილს.

* * *

— არა, ჩემს დედისერთას მოწილკვერძეს არ გავუჩენ — გადაწყვიტა მარგალიტამ, როცა სიყრმისშვილი ხელში დაიჭირა და შაქრომაც კვერი დაუკრა. ერთი ჯანი მაქვს და ერთს უნდა ვანაცვალოო.

გივის ბებიამ კიდევ ბევრი იწუწუნა — ვაიმე, შვილო, გივი, რომ გულშემატკივარი და არ გეყოლება და გაჭირვებაში შემშველებელი ძმაო, მაგრამ ყურს ვინ უგდებდა. შაქრო ყველაფერში ეთანხმებოდა მარგალიტას, რომელსაც უნარითა და გამჭრიახობით თავი მოჰქონდა. ეჰ, ბედს დაუდგეს თვალი, თორემ მარგალიტა სოფელში უნდა დარჩენილიყო? ერთი ქალის კვალობაზე მზითევი აკლდა თუ რა? სპილენძის ტაშტი არა ჰქონდა თუ ხალიჩფარდაგი, ტანისამოსის კარადა სარკიანი თუ ნიკელის საწოლები ოთხი ხელი ლოგინითა, გადასაფარებლებითა და ბალიშ-საბურავებით გაწყობილი. ბედმა კი ქალაქელი მთხოვნელი დაუძვირა და შაქროს ხელში ჩააგდო. მერეც ბევრი იფართხალა მარგალიტამ, რომ შვილი ქალაქში დაბინავებულიყო. რა უჭირდა, შაქრო მამა-პაპური ვენახის პატრონად დარჩებოდა. მერე ისწავლიდა ქალაქის გზას და ჩაუტანდა ქალაქელ ცოლ-შვილს წლის მოსავალს. მაგრამ არ გამოუვიდა მარგალიტას, შაქრო ამაზე კი ვეღარ დაიყაბულა. ბედის უმადური დარჩა მარგალიტა.

ერთში კი საკვეხური ქმარი იყო შაქრო — კვდებოდა და დნებოდა ოჯახისათვის. მარგალიტამ არც პურის გზა იცოდა და არც წყლისა. არც კოლმეურნეობას ეყვედრებოდა მარგალიტას შრომადღეები. უბნის რძლებს არ გაუტოლდა ამაში. რადაო? ჯერ იყო ... პატარძალი იყო, მერე ფეხმძიმედ, მერე ბავშვის პატრონი, მერე... და შაქრო რაღას აკეთებდა, რომ მის ცოლს „თოხი ერახუნებინა“ მიწაზე. ერთი კი იყო — აბრეშუმის პარკის მოყვანა უყვარდა. წელიწადში ერთ თვეს არ მოისვენებდა და არ მოასვენებდა შაქროს. პირველი ჩააბარებდა პირველი ხარისხის პარკს.

შვილი? ისეთი უნდა გაეზარდა, „გივის დედააო“ მოკრძალებით უნდა ეთქვათ მარგალიტაზე. საამისო კი არა ჩანდა რა. მარგალიტას ხშირად იბარებდნენ სკოლაში. სამასწავლებლოში დედის თავმოყვარეობა იჩაგრებოდა. მოვიდოდა შინ და სწყევლიდა გივის კლასის ხელმძღვანელს. შარშან დაარჩინეს იმავე კლასში და ახლა ორწლიანია და ძალიან უნდა ვეცადოთო, მოუტანდა შაქროს შვილის ამბავს სკოლიდან, ორ წელიწადს არ გაიხაროს ჩალათაანთ გიგას ქალმაო. და იჯახირა გივიმ, ხან გამოცდითა და ხან უგამოცდოდ გადადიოდა კლასიდან კლასში და, როგორც იქნა დაამთავრა საშუალო. კარგა კი მობიჭდა ამასობაში, ძვალგამაგრებული და ულვაშაშლილი ვაჟკაცი უკვე ოცი წლისა იყო.

* * *

მარგალიტას ახალი ამოცანა უნდა გადაეჭრა, რომ გივის ჯარში გაწვევის უწყება მოვიდა. მთელი ღამე შაქრომა და მარგალიტამ ლაპარაკში გაატარეს. მარ-

გალიტა ღელავდა. შაქრო კი აგრე რიგად არ იყო წინააღმდეგი, წავიდეს, კაცად იქცევა, რუსულს ისწავლისო. — კრუსუნი აუტყდეს ომის მომგონს, ამისათვის გავზარდე შვილი? უპასუხებდა მარგალიტა.

ძირი გაუთხელდა მარგალიტას პრიალა ფეხსაცმელს და გათავდა იმ წელიწადს გამოზრდილი მსუქანი დედლების ფონდი. გივი ჯარს ასცდა. აბა რისთვის უნდოდა მარგალიტას ნათესავი! მერმის მაინც წაიყვანენო, უთხრეს მარგალიტას, მაგრამ ამაზე ის არ დაღონებულა, გზა ვიცი და კვალი, ნათესავი მყავს და ნაცნობი, ქვეყანა ნაცნობობითა ცხოვრობსო.

* * *

ლამის მართლაც დამთავრდა საშუალოთი გივის სწავლა. ორ წელიწადს ორჯერ გავიდა გამოცდაზე და უმაღლესში მიღებულთა სიაში ვერ მოხვდა. გამომცდელების წყევლით კი რას გააწყობდა მარგალიტა. ერთხელ მატარებელში ვიღაცამ ჩააწვეთა ყურში — უფულოდ არ იქნებაო და მერე მარგალიტამ შაქროს ყურები გაუხვრიტა ლაპარაკით — ფული უნდა შევაგროვოთ და ბიჭი უმაღლესში მოვაწყოთო. დედაბნედა აუტყდეს ისეთ დედ-მამას, ვინც შვილისათვის ფული დაზოგოსო. ორი წლის მოსავლიდან მიღებული ფული დადო მარგალიტამ და ხელი მაგრად დააჭირა. სახლს შეკეთება სჭირდებოდა, ლოგინს ახალი პირები, მაგრამ ყველაფერზე უარი ითქვა. წავიდა მარგალიტა ქალაქში და ბედზე ერთი ვიღაცა ვალიკო იპოვა. მარგალიტამ წითელი თუმნიანების შეკრულა დაუდო წინ, საგარეო ლაპარაკის ქისა მოხსნა, მერე სთხოვა თქვენს ნაცნობს მიეცით ეს ფულიო. იმანაც ფიციო ცოლშვილი გაიწყვიტა, მე არაფერი მაინტერესებს თქვენი დახმარების მეტი, ამ შემთხვევაში თქვენ, დედები, მეცოდებითო და თუ იგი ვერ მოეწყო, მე ფულს იმას არ შევარჩენ, ისევ დაგიბრუნებთო. იმ წელიწადს საშუალო სკოლები თერთმეტწლიან სწავლებაზე გადავიდა და გამოშვება არა ჰქონიათ. უმაღლესში მისაღებთა კონკურსიც, რაღა თქმა უნდა, გაიოლდა შედარებით და გივი ინსტიტუტში მოეწყო. მარგალიტა ლოცავდა და შუაკაცობის მარიფათს უქებდა შაქროსთან, სხვასთან კი როგორ წამოსცდებოდა სიტყვა ამაზე. აბა საიდან ეცოდინებოდა მარგალიტას, რომ ვალიკოს ამ საკითხზე არავინ შეუწუხებია და ხახვივით შერჩა შაქროს მონაგარი. მარგალიტას ახლა იმაზე სწყდებოდა გული, რომ შვილს საქალაქოთა ზრდიდა და ინსტიტუტი კი სასოფლო გამოუვიდა. მერე თვითონვე ინუგეშა თავი. უმაღლესი უმაღლესია, ისე მე ვიცოცხლო, რამდენიც სოფლის მეურნე კაცი ქალაქში მუშაობსო.

და გაჰყვა წელიწადი წელიწადს. გივი „სამებით" პირნათელი იყო დედ-მამასთან. იანვრის ბოლოს ჩამოვიდოდა და აბა



მხატვარი ლია სვანიძე

საკლავი, აბა წითელი ღვინო და ჰარალა-ლე!

გივიმ რომ დაამთავრა უმაღლესი, აქ ერთხელ კიდევ იყოჩაღა მარგალიტამ და შვილი „განაწილებას“ ააცდინა, მაგრამ ქალაქში კი ვერ მოაწყო და დაისვა შინა.

კაი დიდი მეურნეობაა ჩვენს სოფელში, დიდი ღვინის ქარხანა და გადაჭიმული ზვრები. ქედი იყოს, თორემ უღელზე ადვილი საშოვნელი რა არისო, იტყვიან და გივისაც გამოუჩნდა ადგილები, მაგრამ აქ მარგალიტა იყო მთავარი. არავითარი რაიმე „მთავარი“ ადგილი არ ჩანდა და სხვა არ მინდაო.

შაქროს კი ჯანი ელეოდა, სამუშაოს ვეღარ აუდიოდა, ზოგჯერ საკარმიდამო ვენახში გივის იშველიებდა. დედა მოეიკვდესო, წაიდუდუნებდა მარგალიტა, გივის მხარზე თოხს რომ დაინახავდა.

მიხაკო ძიას მეურნეობაში უნდა გავყვე სამსახურის საქმეზეო, — თქვა ერთ დილას გივიმ და გაქრა სახლიდან. მარგალიტამ ვერც კი მოასწრო ეპასუხნა. პირზე მომდგარი სიტყვა არ დაწყვიტა და ცარიელ აივანს უთხრა, ისიც მაღალი ხმით, როგორც ყოველთვის იცოდა: „სამსახური! თავიანთ თავზე მეტი აღარავინ ჰგონიათ, თვითონ წამოჭიმულან დიდ ადგილებზე, შენ კი ბრიგადირად თუ დაგიყენებენ“. და მერე კიდევ უფრო მაღალი ხმით გასძახა: ჩაიცვამდი საგარეოდ, რა არი, როგორ მიდიხარ“, გივის აღარ მოუხედნია უკან.

მარგალიტა ახლა იმანაც დააფიქრა, ბიჭი ამ ბოლო ხანებში ყოველ საღამო დადიოდა სოფლის სამკითხველოში, ხანდისხან იქიდან ძუნწად ამბავსაც გამოიტანდა. მიხაკო ძიას ერთ დღეს დაებარებინა სოფლის ახალგაზრდები და ელაპარაკნა — უფროსად ვინ დაბადებულაო, აი, ჩემს მაგალითს გეტყვიო. აგერ კიდევ შალიკო შევარდაშვილი. თავისი უნარი ადამიანს ყველა საქმეში გამოაჩენსო; წლეულს მაინც რა თავი მოიგიჟიანა ცამა და დედამიწამ. ისეთი მოსავალია მეურნეობაში, აღარ იციან რა ქნანო; მოდით, მოგვეშველეთ, ვაზი ლამის წაიქცეს სიმძიმისაგანო. გვაძლევს და არ გამოვართვათო? ახალგაზრდები მოსკოვში უნდა გავგზავნოთ, ნახონ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაო. მოსავალი რო დიდია, პრემიაც დიდი იქნებაო.

— დაანებე თავი მაგ მეურნეობაში წანწალს — უთხრა ერთ საღამოს მარგალიტამ გივის, ისევ ქალაქში უნდა წავიდეთ და იქიდან ისეთი დიდი კაცის მოწერილობა მოვიტანოთ, რო... ჩვენი თინას მაზლს მთავრობაში დაუწყია თურმე მუშაობა. — ჰო, ეხლა დაუძახე მამაჩემს, პური ვჭამოთ, ჩემი საქმისა მე ვიცი! — უთხრა გივიმ დედას.

ჩემი საქმისა მე ვიციო? გზა გადაელობა მარგალიტას. აჰაა! დააჭკვნა თავის გულში, წინააღმდეგობის გუნებაზე აღარ იყო მარგალიტა. მე ვიცი ჩემი საქმისაო? ახლა სხვა დროა, ბრიგადირებადაც ნასწავლებს აყენებენ. ეგეც ვაჟკაცია, ეხლა თვითონ უპატრონოს თავის თავს. ავადა ვარ, აღარ შემიძლიაო, — დაიმშვიდა გული მარგალიტამ.

კვირტებით იხორკლებოდა ხეები და საგაზაფხულო სამუშაოები ყელამდე იყო, მაგრამ მარგალიტამ მაინც დაითანხმა გივი ორი დღით ქალაქში გაჰყოლოდა. თავის ტკივილები დამჩემდა და ქალაქელ პროფესორს უნდა გავესინჯოო.

ექიმმა სანუგეშო სიტყვა უთხრა მარგალიტას და შიში გაუქარწყლა. ქალაქური საღამო გაჩაღებულიყო. თეატრის წინ ხალხი ირეოდა. მარგალიტა ქალაქში ბევრჯერ ყოფილა, მაგრამ ქალაქური თეატრი კი არ ენახა. ახლა კი შინ წასვლა აღარ უნდოდა.

დედა-შვილი კიბეს დაუყვნენ. სიფრიფანაკაბიანმა ყელტიტველა გოგოებმა თვალები აუჭრელეს მარგალიტას. იმოდენა ხალხი იყო, მარგალიტას ეგონა, მთელი ქალაქი მოგლეჯილა და აქ შემოსულაო.

...ერთხელ გოგოობაში რამდენი იტირა მარგალიტამ, როცა ალაწოდა სანდრომ არ გამოიყვანა სცენაზე. მარგალიტას დედა ეხვეწებოდა სანდროს, შვილს ახალ კაბას ჩავაცმევ და ისე ტყუილად მაინც დასვი „სცენაზეო“, მაგრამ სანდრო ვერ დაითანხმა. მერე ლამის ჩაიშალა წარმოდგენა. მარგალიტას დედა გაცხარდა: „თქვენი დასაგლეჯი ფარდაგი სადა მაქვს, ეხლავე ჩამოხსენითო.“

ერთხელაც ახალ პატარძლობაში შაქრომ წაიყვანა მარგალიტა სოფლის კლუბში წარმოდგენაზე. ვერ იქნა — ვერ დაიწყეს წარმოდგენა. მარგალიტას ეგონა შუაღამე გადასული იქნებაო. ძილისთვის თვალები ებლიტებოდა. ხალხი ხმაურობდა: ჰა, დაიწყეთო, ფარდას ეტანებოდა. ბიჭები იჭყიტებოდნენ შიგა და იცინოდნენ. ერთი უყურე გოგიას რა შავი ულვაშები გაუკეთებია მურითაო და მარუსასათვის რამსიგრძე კაბა ჩაუცმევიათო. ის იყო და ის, მარგალიტას ძილი აღარ გაუტეხია და აღარც შაქროს აინტერესებდა „წარმოდგენებზე ნატარი ქალი“.

მარგალიტას უკვირდა, რომ ყველაფერი კალაპოტში იყო მოქცეული: — უი, დაიწვი შენა! — ვითომ სათეატროდ დაბალი ხმითა თქვა მარგალიტამ, მაგრამ მაინც ხმამაღლა გამოუვიდა და წინა რიგიდან გოგოებმა გადმოიხედეს. „დაიწვიო“ იმას ნიშნავდა, რომ მარგალიტას მოეწონა ქალი. — ერთი შეხედე, ჰო, — ანიშნა, გივის გასწვრივ რიგში იისფერკაბიანი ქალი რომ იჯდა. მერე დაიწყო მოქმედება და მარგალიტას ყველაფერი დაავიწყდა. შესვენებაზე გივიმ წამოიწია გასასვლელად, რომ ის იისფერკაბიანი მიესალმა. მარგალიტა გადაირია: „ეგე მაგაზე გეუბნებოდი, ვინ არი?“ — ჰკითხა გივის.

მარგალიტასათვის ადრე რომ ეთქვათ, თქვენივე სოფელში ერთი კარგი მეაბრეშუმე ქალი მუშაობსო, ტუჩს გაპრუწავდა. ვინა ქა, ჭიის ქალიო, ახლა აქ ქალაქის თეატრში ნაპოვნ ქალზე კი ძალიან მიუვიდა გული.

როცა წარმოდგენა გათავდა, დედა-შვილი დიდ კარში კიდევ შეეყარა მეაბრეშუმეს. როდის მიდიხართ სოფელშიო, — გამოელაპარაკა კიდეც გივი. ხვალ თერთმეტ საათზე საინკუბაციო სადგურში რომ არ ვიყო, გადავირევიო, — თქვა მან, გამოეთხოვა და კიკინანაწნავებიან გოგოსთან ერთად შეერია ხალხში.

— მაშა, ქა, ესეც...—მარგალიტას უნდოდა ეთქვა: მაშ რა, კაცს თავისი საქმე უნდა უყვარდეს. ჩვენც უნდა დავიძრათ დილაზე და ჩემი გივიც რომ ხვალ თერთმეტ საათზე მეურნეობაში არ იყოს, ჩვენც გადავირევითო მაშ რა, მთავარი სახელიაო.

მარგალიტას ახლა მოუნდა აბრეშუმის ჭიის მოვლა. ისევ უნდა დარგულიყო ბაღჩის ღობის ძირებში თუთის ხეები.

* * *

ის ღამეც თეთრი იყო. მარგალიტას უნდოდა ყველას გაეზიარებინა მისი სიხარული. მან ბაღჩას შემოუარა. მომიჯნეებს გამოელაპარაკა. ძირში დაჭრილ ფურცლებს ზემოდან შეაცალა და თითო გათამამებული ლოყებივით ყლორტი შეატოვა. მარგალიტა აბრეშუმივით რბილი იყო, ახალი წევრი შემოდიოდა ოჯახში, ახალი ოჯახი ყალიბდებოდა, განზე იწეოდა.

შაქრომ ღობე ერთ ადგილას გაარღვია, ქეთოსკენ სამეზობლო კარისათვის მარგილი ჩაავდო.

— რას აკეთებ, კაცო! — ყვირილით იკითხა მარგალიტამ.

— რასა და კარებს, მეზობელი არ გინდა? იქნება ერთი გული გიღონდება. მარგალიტამ მაშინვე წარმოიდგინა, რომ სამშობიარო ტკივილები დაეწყებოდა პატარძალს, ამ სამეზობლო კარით შემოცვივდებოდნენ მეზობლები, დაფაცურდებოდნენ, მერე მანქანა აგუგუნდებოდა და გააქროლებდნენ პატარძალს სამშობიაროსკენ.

— გული შენს მოავთვალეს შეუღონდეს! — თქვა მარგალიტამ, მაგრამ სჯეროდა კი, რომ მოავთვალე არავინ იყო: — რა იყო, რა გაყვირებს, იქნება ვარცლი მინდა გავიტანო მეზობელთან, ან იმას მოაქვს ჩემს თონეზე, ეგრე ვიწროს რო იჭერ, რასა ფიქრობ, ჰა!

— აჰა, ერთი ლაჯია, ვარცლი არ გავა? — თქვა შაქრომ და მაინც ამოაგდო მარგილი და ერთი მტკაველიც იქით გასწია.

ჯანს გრძნობდა მარგალიტა. იმ დროს მისთვის რომ გეკითხათ, რამდენი შვილიშვილი გინდაო, ხალხურ ანდაზას მოიშველიებდა: ერთი შვილი არა შვილი, ორი შვილი — ვითომ შვილი და სამი შვილი — მართლა შვილიო.

# პედაგოგიური საბჭოს სხდომა № 8



საოცარ დროში გვიხდება ცხოვრება. სასწაული სასწაულს სცვლის. გონება ვერ ასწრებს მომხდარ აღმოჩენათა და მოვლენათა აღქმას. ერთი თვის გზას ერთ საათში ვფარავთ, ერთი თვის საქმეს ერთ საათში ვაკეთებთ, ფილმებს და კონცერტებს შინ რბილ სავარძლებში ჩაფლულნი ვესწრებით. ხომ იქნებოდა ყოველივ ეს გასული საუკუნის ადამიანისათვის სასწაული, ფანტასტიკა?! — მაგრამ ჩვენს წინაპრებს ისიც ხომ დიდად გააკვირვებდათ, თავიანთი შთამომავალნი — აგრერიგად გაზულუქებულნი, მოდუნებულნი რომ ეხილათ?!

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია. გონების აყვავებასა და გაფურჩქვნას სხეულის (ვაი თუ სულისაც) გადაგვარება, დეგრადაცია შეიძლება მოჰყვეს ფეხდაფეხ, თუ „კომფორტაბელური“ პლანეტის მცხოვრებნი, იმავ გონების წყალობით სხეულს საქმეს არ გაუჩენენ. საქმეს კი ადამიანი ბავშვობიდან უნდა ეწიოს. ადამიანის გამაჯანსაღებლად, გამკაჟებლად დღესდღეობით მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური აღზრდა და სპორტი გვესახება.

სკოლა და ფიზიკური აღზრდა. აი, რაზე ვსაუბრობთ დღეს ჩვენს მორიგ პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე, რომელსაც ესწრებიან სახელგანთქმული სპორტსმენი ქალები და სკოლაში ფიზიკური აღზრდის სხვა მესვეურნი და ქომაგნი. პედაგოგიური საბჭოს მუშაობაში დაუსწრებლად მონაწილეობას იღებს აკადემიკოსი ნ. ამოსოვი, რომლის გამოსვლითაც ვიწყებთ სწორედ ჩვენს რეპორტაჟს სხდომიდან.



ნანა ნაცვლიშვილი

**ნ. ამოსოვი — საკავშირო მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.**

ჩვენდა უნებლიედ, ბავშვებს წავართმევით მოძრაობის ბუნებრივი მოთხოვნილების საშუალება: — ნუ ცელქობ, ნუ ხმაურობ, ნუ ხტუნავ, ნუ დარბიხარ, ნუ მიშლი — ჰიპოდინამია ახლა მარტო მოზრდილებს კი არა, ბავშვებსაც აზიანებს. საბავშვო დაწესებულებებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში ფიზკულტურას ხელს კარგად არ უწყობენ. თუ ჩვენი ცხოვრების წესს თვალს გადავავლებთ, კარგა ხანია, უკვე შემოღებული უნდა იყოს ყოველდღიური ფიზკულტურის გაკვეთილები. თანაც ეს გაკვეთილები ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ ბავშვებს ხვითქი გადასდიოდეთ. აი, მხოლოდ ამით შევუნარჩუნებთ და გავუკაჟებთ მათ ჯანმრთელობას... ჰარმონიული, სისტემატური ვარჯიში ადამიანის ჯანმრთელობის საწინდარია.

ადამიანი გამუდმებით იმსუბუქებს ფიზიკურ შრომას, რითაც კუნთოვანი სისტემის გარდა ნებისყოფასა და სიხარულის უნარსაც იდუნებს...

ნებისყოფასაც ვარჯიში სჭირდება. ნებისყოფა ბავშვს პატარაობიდანვე გამოვუმუშავოთ. ახლა სკოლებში აღებულია კურსი, რომ გაკვეთილები, რაც შეიძლება საინტერესო იყოს. ეს მითია! მე საინტერესო გაკვეთილების მომხრე ვარ, მაგრამ ყოველივე უნდა შევუხამოთ საჭიროებასა და აუცილებლობას. თავიდანვე უნდა ჩავუნერგოთ ბავშვს იმის უნარი, რომ განსაზღვრული პროპორციით შეასრულოს როგორც სასიამოვნო, ისე უსიამოვნო საქმე.

**გ. მერკვილაძე — საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

— საჭიროა კარგად განვმარტოთ ტერმინები „სპორტი“ და „ფიზიკური აღზრდა“, რომელთაც ხშირად ერთმანეთში ურევენ. ფიზკულტურა გამაჯანსაღებელი საშუალებაა, სპორტი კი, მოგეხსენებათ, სხვა რამეა: შეჯიბრებები, პირველობა, ჩემპიონობა, ძალთა მაქსიმალური დაძაბვა...

მთავარია ბავშვი აღვზარდოთ ფიზიკურად სრულფასოვანი, ჯანსაღი, საზრიანი, რისთვისაც, რა თქმა უნდა, გარკვეული დოზით, საჭიროა გამოვიყენოთ სპორტიც — სპორტული ელემენტები, სპორტული თამაშობები და ა. შ.

სკოლაში გაჩნდა ასეთი გამოთქმები: კარგი ტანმოვარჯიშე, კარგი მოცურავე. მასწავლებელს მხოლოდ ერთი აზრი აწვალებს: როგორმე მოამზადოს თუნდაც რამდენიმე ბავშვი, რომლებიც სპორტის სარბიელზე სკოლას სახელს გაუთქვამენ. მთავარი, ყველაზე დიდი — მოსწავლეთა საერთო ფიზიკური აღზრდა კი ასეთი გატაცებების გამო უკანა პლანზე გადადის. სპორტის აყვავება ყველა ჩვენთაგანის მიზანია; თუ საერთო ფიზიკურ მომზადებას მაღალ დონეზე დავაყენებთ, ბუნებრივია, კარგი სპორტსმენებიც უხვად გამოჩნდებიან.

ახლა სკოლებში დიდი გამოცოცხლებაა: დაწესდა, ეგრეთწოდებული, „იმედის სტარტი“, შემუშავდა გარკვეული პროგრამა. ზემდგომი ორგანოები დიდ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის წინსვლისა და განვითარების საქმეს. სექტემბრიდან შემოღებული იქნება „დიდი დასვენება“ — რომლის ხანგრძლივობა 25-30 წუთი იქნება და, რომელიც მთლიანად დაეთმობა ფიზკულტურას. ისე რომ, აკადემიკოს ნ. ამოსოვის წინადადებას ყოველდღიური ფიზკულტურის გაკვეთილების შესახებ ნაწილობრივ ხორცი შეესხმება...

---

**ნ. ამოსოვის გამონათქვამები ამოღებულია მისი სტატიიდან, რომელიც გამოქვეყნებული იყო გასული წლის „ნაუკა ი ჟიზნის“ მეცხრე ნომერში.**



**ელენე გოკიელი — სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე.**

მინდა შევჩერდე სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლის როლზე. დიდია მაგალითის ძალა, ბავშვი თავისი აღმზრდელის სახით იდეალურ ნიმუშს უნდა ხედავდეს. იგი ხომ მას ყველაფერში ბაძავს!

მასწავლებელი უნდა იყოს განათლებული, ერუდირებული და მორალური თვისებების მქონე, — კარგი ფსიქოლოგი, თავისი საქმით გატაცებული. ვამბობთ, უნდა იყოსო, მაგრამ არის კი ყოველთვის ასე?

ეს კია, კარგ მასწავლებელს კარგი პირობებიც სჭირდება — სპორტული ბაზები, ინვენტარი, კარგი ეზო და თუნდაც მარტივი მოედანი, სკოლის დირექციისაგან მაქსიმალური ყურადღება. ძალიან მცირეა კვირაში ორი ორმოცდახუთწუთიანი გაკვეთილი.

ფიზკულტურის მასწავლებლის ხელფასი 25 პროცენტით მეტია, ვიდრე სხვა პედაგოგისა. და ეს იცით რატომ? — იმიტომ, რომ უფრო მეტად ხანგრძლივად, გაკვეთილების შემდეგაც იმუშაოს მოსწავლეებთან.

ახლა ზოგიერთ სკოლაში სპორტის სახეობათა სპეციალიზაცია იწყება, რაც უდავოდ კარგი წამოწყებაა. ჩემი აზრით, ეს ყველა სკოლაზე უნდა გავრცელდეს;

ფიზკულტურა და სპორტი სახელმწიფოებრივი საქმეა და ჩვენი ერის, ხალხის კეთილდღეობას ემსახურება. ამიტომ სპორტი მასობრივი უნდა გახდეს; უნდა ვიფიქროთ სწავლების გაუმჯობესებაზე, შევძლოთ სპორტი ყველასათვის საყვარელი და აუცილებელი გავხადოთ, იგი თითოეულ ოჯახში, ეზოში უნდა შევიდეს და დამკვიდრდეს.

ფიზკულტურის სკოლები პირველად საქართველოში შეიქმნა. მაგრამ მხოლოდ შეიქმნა. ამ საქმეს წისვლა არ ეწერა. ჩვენი ვალია ყინული გავალხოთ და სკოლებს ყველა პირობა შევუქმნათ იმისათვის, რომ იქ თანამედროვე ტიპის ნამდვილი სპორტსმენები იზრდებოდნენ.

მეტი ზრუნვაა საჭირო ბავშვების ჯანმრთელობისათვის. ხშირია მოსწავლეთა სქოლიოზის შემთხვევები. მე ისეთი მაგალითებიც ვიცი, სპორტსმენ მშობლებს შვილი სქოლიოზით დაავადებული რომ ჰყავთ!

რა უნდა ეწოდოს ისეთ მშობელს, რომელიც მთელ ნაცნობ-მეგობრებს შესძრავს, რათა შვილს ფიზკულტურის გაკვეთილებიდან გასანთავისუფლებელი ცნობა უშოვოს!? ამას ის მოსდევს, რომ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის შემდეგ საექიმო კომისია მართლაც აღმოაჩენს, რომ ეს ბავშვები უკვე დაავადებულნი არიან. ასეთია მშობლების „ზრუნვის“ ლოგიკური შედეგი.

ორიოდე სიტყვა საბავშვო სპორტულ ჟურნალ „მართვეზე“. ჟურნალის რედაქცია შესანიშნავად ართმევს თავს საქმეს; „მართვე“ დამსახურებულად შეიყვარეს ნორჩებმა. სასურველია ეს ჟურნალი ყოველთვიურად გამოდიოდეს, რაც დიდ სამსახურს გაუწევს მოსწავლეთა სპორტული აღზრდის საქმეს.



**მზია ჯულელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

დღევანდელ ჩვენს შეხვედრაზე ძალიან კარგი საუბარი გაიმართა. აქ ბევრი ისეთი საკითხი დაისვა, ურომლისოდაც დიდ სპორტულ მომავალზე ფიქრიც კი ზედმეტი იქნებოდა.

მინდა ჩემი ბავშვობა, ჩემი მშობლიური გურჯაანი, ჩემი მასწავლებელი შალვა ბოსტაშვილი მოვიგონო. რა დიდი იყო მაშინ სპორტით დაინტერესება, რამხელა ენერგიას ახმარდნენ მასწავლებლები ფიზკულტურის გაკვეთილებს! ჩემი აზრით, ახლა ცოტანილა არიან ასეთები. ზოგიერთი მასწავლებელი ბავშვებს ბურთს ან სხვა რამ გასართობებს შეაჩეჩებს, თვითონ კი გაკვეთილებიდან გადის. და ვინ იცის მოსწავლეთა შორის რამდენს სწყურია ნამდვილი სწავლა, რამდენი პოტენციური ჩემპიონი და რეკორდსმენია. ბევრი რამ არის დამოკიდებული მშობლებზე, განსაკუთრებით დედაზე.

განათლების სამინისტრომ დიდი საქმე გააკეთა, 51-ე სკოლა სპეციალიზებულ სკოლად რომ გადააკეთა. ეს სკოლა ნამდვილად ამართლებს თავის დანიშნულებას.

ხშირია შემთხვევა, როცა ფიზკულტურის გაკვეთილებს სპეციალისტები არ ატარებენ, რაც შეუწყნარებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

როცა ახალ სკოლას აპროექტებენ, მშენებლებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ სპორტული დარბაზებისა და სხვა სათავსების სრულყოფილად დაგეგმვა. რატომ არ უნდა ჰქონდეს ყველა სკოლას საცურაო აუზი, სარბენი ბილიკები, სავარჯიშო მოედნები? მართალია, სიძნელეებთან არის ყოველივე ეს დაკავშირებული, მაგრამ მაინც უნდა შევძლოთ.



**ზინა ჩხეიძე — 46-ე საშუალო სკოლის დირექტორი.**

სკოლებში ფიზკულტურა გაუმჯობესებული პროგრამით ისწავლება. შემოღებულია საშინაო დავალებების, სხვა გაკვეთილების მსვლელობისას ფიზკულტურის წუთები. კვირაში ორი გაკვეთილი საკმარისი არ არის. ბავშვი ვერ ასწრებს პროგრამით გათვალისწინებული მასალის ათვისებას.

საშინაო დავალება გონივრულად უნდა იყოს მოფიქრებული, უნდა ეხმარებოდეს მოსწავლესა და მასწავლებელს საპროგრამო მასალის დაძლევაში.

დასამალი არ არის, რომ ჩვენი მოსწავლეები ძალიან მოდუნებული არიან, რასაც სხვა საგნების ძლიერ დატვირთული საპროგრამო მასალა და მოზღვავებული ინფორმაციაც უწყობს ხელს.

ბევრი მშობელი გატაცებულია მუსიკით, უცხო ენებით. რაც შეეხება ფიზკულტურას, მას რატომღაც უკანა პლანზე აყენებს. ვფიქრობ, პირიქით კი უნდა იყოს.

ყურადღება უნდა მიექცეს სახლების ეზოებს, მათს სპორტულად კეთილმოწყობას. დროა ამაზე სერიოზულად იფიქრონ სახლმმართველობის მუშაკებმა.

შეიძლება ბევრი სკოლის შენობის სპორტულ ყაიდაზე რეკონსტრუქცია, ან ახალი ფლიგელების მოშენება. ესეც ყურად უნდა იღონ ამ საქმის მესვეურებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**გალინა შარაბიძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

მინდა ერთ მტკივნეულ საკითხზე გავამახვილო ყურადღება: ხშირია შემთხვევა, რომ ბავშვს, რომელსაც დიდი სურვილი გასჩენია სპორტის ამა თუ იმ სახეობაში დაოსტატებისა, უარს ეუბნებიან სექციაში მიღებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ იგი გარეგნულად — სიმაღლით, წონით, ან სხვა რამ ნიშან-თვისებით არ აკმაყოფილებს სტანდარტულ მოთხოვნილებას. ვფიქრობ, ეს შეუწყნარებელი მოვლენაა. სპორტი საყოველთაო საქმედ უნდა იქცეს. არავის არა აქვს უფლება მოზარდს ასეთ სურვილზე უარი უთხრას. განა ცოტაა შემთხვევა, გარეგნულად სპორტისათვის თითქოსდა შეუფერებელი ბავშვი სასწაულებს რომ ახდენს ანდა — პირიქით?!



**ნათელა ნაცვლიშვილი — სპორტის ოსტატობის კანდიდატის, მე-7 კლასის მოსწავლის ნანა ნაცვლიშვილის დედა.**

მე იმ მშობელთა რიცხვს ვეკუთვნი, რომელთაც ყოველივე პირადულზე უარი აქვთ ნათქვამი და ცხოვრების მიზნად მხოლოდ შვილების აღზრდა გაუხდიათ. ალბათ ამიტომ არის, რომ სპეციალობით პედაგოგს, არცერთი დღე არ მიმუშავნია. არ ვიცი, რამდენად სწორი ვარ, მაგრამ მე სხვაგვარად არ შემეძლო მოქცევა.

ნანა მეოცნებე, მკვირცხლი, დიდი ფანტაზიის გოგონა იყო. ცდილობდა სხეულის მოძრაობით ნიადაგ რაღაც გამოეხატა, რაღაცისათვის მიეღწია. ერთი პირობა ბალეტის სკოლაში დავუპირეთ შეყვანა. მაგრამ საბოლოო არჩევანი მაინც სპორტულ ტანვარჯიშზე შევაჩერეთ და არც შევმცდარვართ.

ნანასათვის სპორტი ყველაფერია, ცხოვრების მიზანია. ასეთი დიდი მიზანსწრაფვა აძლევინებს ადვილად ყველაფერს: სკოლიდან დაბრუნებული ზარს იმდენჯერ დარეკავს, როგორი ნიშანიც აქვს მიღებული და მერწმუნეთ ჩვენს ბინაში ზარი მხოლოდ ოთხჯერ და ხუთჯერ წკრიალებს. ნანა ახლა სპორტის ოსტატის ნორმატივის დაუფლებისათვის იბრძვის. ერთხელ ნანამ გამიმხილა: „დედა, მთავარი მონდომებაა, საქმის სიყვარულია და ყველაფერს შესძლებ და მოასწრებ. სტიმულს ჩემი სკოლის მასწავლებლების, მწვრთნელების, მშობლების ყურადღება მაძლევს. როგორ მინდა, ყველანი გაგახაროთ ხოლმე!“

მოსწავლე სპორტსმენებისადმი მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს პრესამ, ტელევიზიამ.



**ნანა მჭედლიძე — კინორეჟისორი. კინოსურათის „პირველი მერცხლის“ დამდგმელი რეჟისორი.**

რამდენი ხანია ასეთ აუდიტორიას ვეძებ; როგორ მიყვარს სპორტი! როგორ მტკივა გული, რომ ჩვენი ბავშვები ასე ნაკლებად იღებენ დიდ საერთაშორისო სპორტში მონაწილეობას! რამდენი ნიჭიერი, აშოლტილი, ენერგიული, მონდომებული მოსწავლე ვიცი, მხოლოდ სპორტისთვის რომ არიან თითქოს გაჩენილნი, მაგრამ... მათ არაფერი აქვთ სპორტთან საერთო. რატომ? ვინ არის ამაში დამნაშავე — მშობელი? მასწავლებელი? თვითონ ბავშვი? ვინც ეძებს, იპოვნისო. ეტყობა ცუდად, ცუდად ვეძებთ, და ცუდად ვიღვწით.

ხშირად გაიგონებთ, სადა სცალია ბავშვს სპორტისათვის — მუსიკაო, ენებიო, ხატვაო. მე არ ვეთანხმები იმათ, ვინც ფიქრობს, ყველაფერს ვერ მოვასწრებთ და ერთ რამეს მოვკიდოთ ხელიო. კაცი ძირითადად, ღრმად მართლაც ერთ რამეს უნდა მისდევდეს, მაგრამ სხვაც საჭიროა, თუნდაც ცოტ-ცოტა, მაგრამ მაინც საჭირო — საერთო განათლების, ჰორიზონტის გასაფართოებლად. ძნელია ყოველივე ეს, მაგრამ მაინც უნდა შევძლოთ. დიდია, ამოუწურავია ადამიანის ძალები და უნარი. დროს მხარი თუ არ ავუბით, მაჩანჩალების რიგებში აღმოვჩნდებით.

აუცილებელია სპორტული სექციების გამრავლება და გაუმჯობესება. მათი დიდი პროცენტი სკოლებზე უნდა მოდიოდეს. სპორტისა და ფიზიკური აღზრდის განვითარება დიდი პატრიოტული საქმეა.



**რეზო აიწურაძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსი.**

დღევანდელი საუბარი ჩვენთვის ნიშანდობლივია. მინდა მადლობა გადავუხადო „საქართველოს ქალს“ ასეთი საქმიანი და საჭირო შეხვედრისათვის.

ყველა აქ წამოჭრილი საკითხი საბოლოოდ თავს იყრის განათლების სამინისტროში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ ჩვენს სისტემაში დიდი მუშაობაა გაჩაღებული, ბევრი ღონისძიება გატარდა. უპირველეს ყოვლისა, განათლების სამინისტრომ საქმეში ჩააბა სკოლების ხელმძღვანელები. დადგენილებები ადრეც ბევრი ქვეყნდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ქაღალდზე რჩებოდა. საჭიროა იყოს სხვა ფორმის ძიებაც, პირადი კონტაქტები, სიახლეები. ახლა უკვე იგრძნობა გარკვეული ძვრები, გარდატეხები, დაინტერესება, თუმცა დიდ შედეგებზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევად მეჩვენება.

განათლების მინისტრმა ახლახან ხელი მოაწერა ბრძანებას, რომელიც ყველა სკოლაში „დიდი დასვენების“ დანერგვას ითვალისწინებს. დიდი დასვენება 30-40 წუთიანი იქნება, იგი მესამე გაკვეთილის შემდეგ მოეწყობა. ვფიქრობ, ამ ღონისძიებამ დიდად უნდა შეუწყოს ხელი ფიზიკური აღზრდის სწორად განვითარებას.

რაც შეეხება ფიზკულტურის გაკვეთილების რიცხვის გაზრდას, ეს პრობლემატური საკითხია და გარკვეულ, რეალურ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

დიდად გვახარებს ის საერთო ზრუნვა და ფიქრი საზოგადოების, რომელიც დღეს ჩვენს შეხვედრაზე გამოიხატა.

სპორტს ფიზიკური აღზრდიდან უნდა მიეცეს დასაბამი. დიდი სპორტის კონტურები ფიზკულტურის გაკვეთილებზე იკვეთება.

საუბარს უძღვებოდა
**ნანული ცაგარეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოძრაობა სიცოცხლეა

ადამიანის ფიზიკური განვითარების საკითხი ისევე ძველია, როგორც კაცობრიობის ისტორია, მაგრამ იგი ისე მწვავედ არასოდეს არ დასმულა, როგორც ჩვენს საუკუნეში, ტექნიკის არნახული განვითარების ეპოქაში.

ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსები ადამიანის ფიზიკურ განვითარებას და, საერთოდ, მოძრაობას სიცოცხლის ელექსირად თვლიდნენ. ჰიპოკრატე ამბობდა: „როცა მე არ ვმოძრაობ, არ ვარსებობ“. როგორც იმდროინდელი დიდი მოაზროვნე და ექიმი, იგი დიდ ყურადღებას აქცევდა არა მარტო ფიზიკურ კულტურასა და სპორტს, არამედ ადამიანის ორგანიზმზე ბუნებრივი ფაქტორების ზეგავლენის საკითხებსაც. მაგალითად, ცნობილია, რომ პირველად ჰიპოკრატემ შექმნა სოლარიუმები და ტერასები ჰაერისა და მზის აბაზანების მისაღებად.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადამიანის ფიზიკურ განვითარებას ძველ რომსა და სპარტაში, სადაც მოქალაქედ არ ითვლებოდა მამაკაცი, თუ იგი არ იყო დაუფლებული სპორტის რთულ სახეობებს.

ჩვენს სინამდვილეში, როცა ადამიანი განთავისუფლებულია მძიმე ფიზიკური შრომისაგან, მისი კუნთური მუშაობა შეიზღუდა — ტრანსპორტისა და სხვა ტექნიკურ საშუალებათა განვითარება ადამიანის ორგანიზმის ინერტულობის მიზეზი გახდა. განსაკუთრებით შეიცვალა ცხოვრების ტემპი, იგი დაძაბულია და სხვა მრავალი დადებითი თუ უარყოფითი ფაქტორით არის განპირობებული. დღევანდელ ადამიანს უამრავი ფსიქო-ემოციური ინფორმაციის გადამუშავება უხდება, რაც დიდი დატვირთვაა ცენტრალური ნერვული სისტემისათვის. ამას ემატება გარემოს მნიშვნელოვანი გაჭუჭყიანება ავტომანქანების გამონაყოფი გაზებით, გაბინძურებული ჰაერის მავნე მოქმედება ჩვენს ორგანიზმზე, რაც ცვლის მის მგრძნობელობას (რეაქტიულობას) და სხვადასხვა ორგანოს და სისტემის ფუნქციურ ნაკლოვანებას იწვევს. ცხადია, გაუწვრთნელ ორგანიზმში უფრო მეტი შესაძლებლობაა ორგანოთა დეგენერაციის — გადაგვარებისათვის.

ფიზიკური წრთობის უგულვებელყოფა სხვადასხვა დაავადების მიზეზი ხდება. ეს არის უპირველესად გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების დაზიანება, ნივთიერებათა ცვლის მოშლა და ათეროსკლეროზის განვითარება, ნერვული სისტემის, საყრდენ-სამოძრაო აპარატის დაზიანება. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ იშემიური დაავადება და გულის კუნთის ინფარქტი უმეტესად თავს იჩენს უმოძრაობის (ჰიპოდინამიის) პირობებში.

ორგანიზმის გაკაჟება ადრეული ასაკიდან (ბავშვობიდან) იწყება, იწყება სისტემატურად და თანამიმდევრულად. ამას წინათ, კიევში გამართულ გერონტოლოგთა საკავშირო ფორუმზე გამოთქმული იყო ერთიანი აზრი, რომ ნაადრევი სიბერის წინააღმდეგ ბრძოლას ახალგაზრდობაში ეყრება საფუძველი.

განსაკუთრებით საჭიროა ყურადღების გამახვილება ბავშვთა ასაკზე. დღეს ბავშვი ისეა დატვირთული, რომ თამაშის დრო არ რჩება (სკოლა, მუსიკა, უცხო ენა და ა. შ.), ხშირად კი მათი ფიზიკური წრთობა, სუფთა ჰაერზე ყოფნა (სპორტს რომ თავი დავანებოთ) გვავიწყდება. უფრო მეტიც, სკოლებში მეცადინეობა დახუთულ (უჰაერო) საკლასო ოთახებში მიმდინარეობს, რომლებიც გადატვირთულია (ჰიგიენური ნორმების დარღვევა), ყოველივე ეს ბავშვის ორგანიზმში იწვევს ჟანგბადის უკმარისობას.

ბევრ სკოლაში ფიზიკური აღზრდა დაბალ დონეზე დგას.

გამოკვლევები ცხადყოფს, რომ მოსწავლეთა საკმაო ნაწილს 12-15 წლის ასაკში გულ-სისხლძარღვთა მოდუნება აქვს. ნაღვლის ბუშტის ფუნქციური ნაკლოვანება, ზემო სასუნთქი გზების კატარი, ინფექციის კერები, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დაავადება უმეტესად თავს იჩენს გაუკაჟებელ ორგანიზმში.

რა ფიზიოლოგიურ ძვრებს იწვევს ფიზიკური ვარჯიში ორგანიზმში?

უპირველეს ყოვლისა, ახალი უჯრედების ინტენსიური წარმოქმნა აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ქსოვილების მიერ ჟანგბადის შეთვისებას, ჟანგვა-აღდგენითს რეაქციებს, სისხლში შაქრისა და აზოტის ცვლას, აწესრიგებს შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციას, ამაგრებს ნერვულ სისტემას, აძლიერებს ჟანგვითს პროცესებს, რითაც ხელს უწყობს ზედმეტი ცხიმის წვას; აუმჯობესებს ორგანოების სისხლით მომარაგებას, კუნთების გაძლიერებასა და ზრდას. ფიზიკური წრთობა, ისევე როგორც მუსიკა, აფართოებს ადამიანის სულიერ სამყაროს, უყალიბებს მას სამართლიანობის, ადამიანების მიმართ კეთილი დამოკიდებულების თვისებებს.

ყოველგვარი მოძრაობა — სიარული, სირბილი, ცურვა, ციგურაობა, ბადმინტონის თუ ფეხბურთის თამაში, სუფთა ჰაერზე დასვენება და ძილი, ამასთან კვების სწორი რეჟიმი თანამედროვე ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების განუყრელი ნაწილი უნდა იყოს. თუ ორგანიზმი არ ვიწრთოთ და გავიკაჟეთ, დღევანდელი ადამიანის ჯანმრთელობაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნება.

მაშ, ვიმოძრაოთ მეტი, ვიაროთ ფეხით, ვირბინოთ, ვიცუროთ, შევიყვაროთ ფიზკულტურა და სპორტი.

მოძრაობა სიცოცხლეა!

**მ. მდინარაძე,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რაციონალიზატორი

# დღე შემოქმედებისა, დღე ძიებისა

არიან ადამიანები, რომლებიც ჯანმრთელობის სამსახურში დგანან და „შეუმჩნეველნი“ რჩებიან. მთელი მათი შეგნებული ცხოვრება წამლების დამზადებაში გადის და ამ საქმეს უპრეტენზიოდ, თავდადებით ასრულებენ.

ერთ-ერთი იმათგანი, ვინც ძალა და ენერგია არ დაიშურა, რომ წვლილი შეეტანა ფარმაკოლოგიის განვითარებაში, ლუბა ჭიპაშვილი-არაზაშვილი გახლავთ.

ლუბა ჭიპაშვილმა სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ წამლის ბიოლოგიური შემფასებლის კვალიფიკაცია მიიღო და როგორც ქიმიკოს-ანალიტიკოსმა თბილისის ფარმაცევტულ ქარხანასთან საკუთარი ინიციატივით ცენტრალური ანალიზური ლაბორატორია ჩამოაყალიბა.

მან პირველმა ააწყო თაროებზე ქიმიური ხსნარების ჩასასხმელი შტანგლარები ქიმიური რეაქტივებით, დაამაგრა ტიტრიანი ხსნარების ზუსტი გამზომი ხელსაწყოები, ბიურეტები, მოამზადა ტიტრიანი ხსნარები, შეამოწმა ქიმიური სასწორები.

ცენტრალურ ანალიტიკურ ლაბორატორიაში მუშაობა დიდ ენერგიას მოითხოვდა, მაგრამ ლუბა ჭიპაშვილი პარალელურად დიგალინის სამქროს გამგეც იყო. დიგალინის სამშობლო საქართველოა. ამ წამლის მიღებასა და დამზადებაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი პროფესორ ნ. მასხულიას. დიგალინი მცენარე ყანგარას სათითურასგან მზადდება და გულის სამკურნალო საშუალებად გამოიყენება.

ნაყოფიერ შრომაში და ძიებაში მოუსწრო ლუბა ჭიპაშვილს სამამულო ომმა. მან დროებით შეწყვიტა მუშაობა ფარმაცევტულ ქარხანაში, რადგან თბილისის ჰოსპიტალის ქიმიურ ლაბორატორიაში სამუშაოდ გაიწვიეს. ლუბა მენდელეევის სახელობის საზოგადოების სწავლულ მდივნადაც მუშაობდა. ამ საზოგადოებაში ახალ-ახალი საკითხები წყდებოდა ქიმიის დარგში. მისი რაციონალური წინადადებით მოხდა როტაქსის მანქანის რეკონსტრუქცია, რომელიც წამლების ჰიგიენურად დაცვის პროცესს ითვალისწინებდა. ლ. ჭიპაშვილის მიერ გაუმჯობესებულ როტაქსის მანქანებს დღესაც წარმატებით იყენებენ მოკავშირე რესპუბლიკების სხვადასხვა ფარმაკოლოგიურ ქარხნებში.

ომის შემდეგ ლუბა თბილისის ფარმაცევტულ ქარხანას დაუბრუნდა. მარია კალანდაძესთან ერთად მან ტანინის რაოდენობითი განსაზღვრის ექსპრეს-მეთოდი დაამუშავა. იმ დროს საქართველოს აკლდა ძვირფასი ნივთიერება — ტანინი. ნედლეული ჩინეთიდან შემოჰქონდათ ჩინური თხილის სახით, რომლის ტექნოლოგიური გადამუშავების შემდეგ ტანინს იღებდნენ. მას დიდი გამოყენება აქვს მედიცინასა და ტყავის წარმოებაში. ჩინური თხილის ტექნოლოგიური დამუშავებისათვის საჭირო იყო რაოდენობითი ანალიზი. არსებობდა ტანინის რაოდენობითი ანალიზის სხვადასხვა მეთოდი — ლევენტალისა და ტყავის ფხვნილის მეთოდები. მაგრამ ამ მეთოდებით ტანინის რაოდენობითი ანალიზს დიდი დრო სჭირდებოდა. ამას კი წარმოების მოცდენა და ტანინის დიდი დანაკარგი მოსდევდა. ლუბა ჭიპაშვილის რაციონალიზატორული მუშაობის დიდ გამარჯვებად ითვლება ტანინის რაოდენობითი ანალიზის ჩქარი, ექსპრეს-მეთოდის დანერგვა.

ბიოლოგიური შეფასების ლაბორატორიის ერთ-ერთი ამოცანაა კანქვეშ გასაკეთებელ ხსნარებში ნატრიუმ ქლორის რაოდენობითი განსაზღვრა, ამ ექსპერიმენტის დროს გამოიყენება აზოტმჟავა ვერცხლის ხსნარი. ლუბა ჭიპაშვილის თაოსნობით კანქვეშ გასაკეთებელ ნივთიერებაში ნატრიუმ ქლორის განსაზღვრის ისეთი მეთოდი დაინერგა, რომელიც დღეში 120 მილილიტრ ძვირად ღირებული ქიმიური ხსნარის, აზოტმჟავა ვერცხლის ეკონომიას იძლევა.

ნაყოფიერ, დაუღალავ შრომაში გავიდა ორმოცი წელიწადი. ლუბა ჭიპაშვილი ახლაც შრომითს ვახტზე დგას. მან ალოეს უვარგისი ნარჩენებისაგან დაამზადა ისეთივე ალოეს წვენი, როგორსაც პირვანდელი პროდუქტისაგან ამზადებენ.

არიან ოჯახები, რომლებიც შთამომავლობას გადასცემენ თავიანთ საყვარელ პროფესიას. ლუბა ჭიპაშვილი ცნობილი ფარმაკოლოგის, აკაკი არაზაშვილის ოჯახის სახელოვანი რძალია. მამის კვალს გაჰყვა ლუბას მეუღლე იოსებ არაზაშვილიც. ლუბას სამ ვაჟიშვილთაგან ერთ-ერთმა — აკაკიმ შეიყვარა ფარმაცევტის პროფესია და ხრულიად ახალგაზრდამ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ფლავონოიდების შესახებ.

ნაყოფიერ შრომაში გადის დრო.. ლუბა ჭიპაშვილის ცხოვრების ყოველი დღე ხავსეა შემოქმედებითი სიახლეებითა და ძიებით.

ნ. პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სესილია თაყაიშვილი

**სასცენო** ხელოვნება ხომ სწორედ იმით განსხვავდება ხელოვნების სხვა დარგებისაგან, რომ მასალა ხელოვანისათვის საკუთარი თავი, საკუთარი სული და გარეგნობაა. ეს საკუთარი კი ისე უნდა გადაზილო, გადაძერწო, რომ სხვად აქციო, სხვა სახელი და გვარი მისცე, სხვაგვარად აამეტყველო და აამოქმედო; ხანდახან იმ სხვას უნდა გაერიდო კიდეც, მოქანდაკესავით შორიახლო დადგე და ისე ახედ-დახედო, ისე შეამოწმო — ღვივის თუ არა ამ ქანდაკში სიცოცხლის ნაპერწკალი, თუ დასამსხვრევია და ხელახლა გამოსაძერწი?

უპირველესი ღირსება ის არის, რომ იგი, რაც შეჰქმენი, სხვას არ უნდა ჰგავდეს, მხოლოდდამხოლოდ შენი უნდა იყოს, ანუ შენ და ის (მომავალი როლი) ერთად შერწყმული, შეზრდილ-შესისხლხორცებული უნდა იყოთ, რომ გიხაროდეს მისი სიხარული, გეტკინოს მისი სატკივარი, გეთქმოდეს მისი სათქმელი.

ზოგი ამას თანდათან აღწევს. სესილია თაყაიშვილისათვის კი თავიდანვე ასე დაიწყო — სრული გარდასახვით და ასე გრძელდება დღემდე!

მსახიობის პირველ ქართულ როლად ქრისტინეა ცნობილი (შ. დადიანის „ნინოშვილის გურია“.)

— არა, გენაცვალე, — მითხრა ქალბატონმა სესილიამ, — პირველი ქართული როლი შალვა დადიანის პიესაში („კაკალ გულში“) ვითამაშე 1928-29 წლების სეზონში. კომედიაში კოტე მარჯანიშვილმა მოგვიანებით მომანდო მოსამსახურე გოგოს თიკოს როლი. ამ როლს ჩემამდე საუცხოო მსახიობი, ნუნუ მაჭავარიანი თამაშობდა. თამაშობდა როგორც ქართლელ ქალს. მე კი თიკო გავაგურულე და ამით უკვე ჩემეული ელფერი და ხასიათი მივეცი ეპიზოდურ როლს (ეპიზოდების თამაშს არასდროს არ ვერიდებოდი). მახსოვს უშანგი ჩხეიძესთან (ვიჟინიძე) გაბაასებას ისეთი ცოცხალი რეაქცია და სიცილი მოჰყვა, ლამის ხალხი ლოჟებიდან ვარდებოდა.

..მსახიობი არ ტრაბახობს, თუმცა სესილია თაყაიშვილს ამის უფლებაცა აქვს. ის ახლა, თითქოს, ხან თვალმოხუჭული, ხან ლორნეტით უმზერს შორიდან საკუთარ წარსულს, იმ ახალგაზრდა, ენაკვიმატ და სხარტ სესილიას და თვითონაც სიცილით კვდება...

— „ქვეყანა კი გადაბრუნდა, ბატონო, მაგრამ ჩემს გადაბრუნებას არაფერი ეშველა“.

დადიანის მეორე პიესაში („ნაპერწკლიდან“) მსახიობს უკვე განსხვავებული როლი შეხვდა: პარასკევას არაფერი აქვს საერთო არც წინა როლთან, არც ამ პიესის რომანტიკულ, ახალი რწმენით ანთებულ ადამიანებთან; პარასკევა საკმაოდ გაქნილი და ქვეშქვეშაა და მსახიობი მისი გამოკვეთის სწორედ ამ თვისებას ჩაეჭიდა.

ქრისტინე კი სულ სხვა იყო. წმინდა, ფაქიზი, ახლობელი, თითქოსდა მაყურებელთან თანაშეზრდილი. ეს იმ როლთაგანია, რომელიც იბადება და კვდება (სამწუხაროდ კვდება, ასეთია თეატრალური ხელოვნების ბედი). ძველ თეატრალებს კარგად ახსოვთ ეს ერთადერთი ქრისტინე, რადგან „ნინოშვილის გურია“ (რეჟისორი დ. ანთაძე, მხატვარი დ. კაკაბაძე) მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრის (1934 წ.) მნიშვნელოვან დადგმად არის აღიარებული და დიდხანს ცოცხლობდა. მაგრამ, რაც უნდა დღეგრძელი იყოს სპექტაკლი, დგება ხოლმე დრო მასთან, მის გმირებთან გამოთხოვებისა.

სცენური სახის წარმავლობის, თეატრის ასეთი ბედის გამო დამაინტერესა მსახიობი ქალის კინოხელოვნებისადმი დამოკიდებულებამ.

მან კინოს მარადიულობას მაინც თეატრის წუთისოფელი არჩია... არჩია კი არა, ის უყვარს, ის იტაცებს, იქ, სცენაზე ცხოვრობს და ღელავს, იქ გრძნობს ცოცხალი ქართული სიტყვის ძალას და შინაგანი თვალით ხედავს თავის გმირს. ეკრანზე კი ალმაცერად უყურებს საკუთარ თავს.

— თეატრში ნათამაშევ როლს ან შემატებ, ანდა მოაკლებ რაიმეს; ეკრანზე კი გეშინია, გრცხვენია კიდეც, ვაითუ, რამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავაკელიო. ამიტომ ჩემი ეპიზოდის დრო რომ მოაღწევს, გვერდზე ვიხედები: რაც ეკრანზეა, მას ვეღარ დაუბრუნდები, ვეღარაფერს უშველი. ამიტომ მეშინია ხოლმე თვალის გასწორება...

აი, ბატონებო, შემოქმედის პასუხისმგებლობა, შიშისა და რიდის გრძნობა, თუ გნებავთ, ეჭვიანობაც და მერე როგორი ხელოვანისა, — რომლის ერთი გაელვებაც კი იმავე ეკრანზე, წარუშლელ კვალს ტოვებს, ნაღდ ღიმილსა და სიცილს იწვევს; ეს ეპიზოდი თავისი სურებითა და განუმეორებლობით ზოგჯერ მთელ ფილმადაც კი ღირს. სესილია თაყაიშვილი ხომ არც კინოხელოვნებაში თაკილობს პატარა როლებს, რადგან ოსტატისათვის იმ მცირეშიც აღმოჩნდება საინტერესო რამ. ამიტომ არ დაგზარდებათ დაიხარჯოს და დაიღალოს!.

— როგორ ხდება ერთი არსის მეორე არსად გარდაქმნა, ანუ სხვად ქცევა?

მსახიობმა კონკრეტულ პასუხამდე ზოგადად ილაპარაკა აქტიორულ ხელოვნებაზე. მაგალითად, თავისი საყვარელი მსახიობებიც დაასახელა: ნუცა ჩხეიძე — ზეინაბი, ვინც პირველად აღელვა და შეაყვარა თეატრი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი და ნიკო გოცირიძე, რომელთა წყალობითაც კომედიის ხელოვნების ბევრი საიდუმლო შეიცნო.

— ყოველი მათგანის გულში დიდი შემოქმედებითი ცეცხლი ენთო, მაგრამ... ერთი სიტყვით, ის მინდა ვთქვა, რომ ვერცერთი მსახიობი ვერ გეტყოდათ და ვერც გეტყვით, როგორ მუშაობს როლზე, ეს უმთავრესად ქვეცნობიერად ხდება. ახალი როლის ახალი სახე სულ თან დამდევს, ვიღვიძებ, ვსაუზმობ თუ ვსაქმიანობ. და ასე, თანდათან შემოდის იგი არსებაში...

— როლს რომ წავიკითხავ, მერე თავს ვანებებ, ხელს აღარ ვკიდებ. სანამ აღარ მომწიფდება ის ახალი სახე, სანამ არ ვიგრძნობ მას ხორციელად, ჩემიანად, როგორც ცხადს, მანამ ვერ ვითამაშებ. შინაგანად რომ განვეწყობი, შემდეგ ვფიქრობ გმირის გარეგნობაზე როგორი იერი ექნებოდა, რას ჩაიცვამდა, შესაფერ ტანსაცმელსაც მე თვითონ შევარჩევ ხოლმე.

ასე მოხდა ახლახანაც, როდესაც რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ მრავალსერიიან სატელევიზიო ფილმში „დათა თუთაშხიაში" მონაწილეობის მისაღებად მიიწვია სახელოვანი მსახიობი და ასინეთის როლი შესთავაზა. ავადმყოფობის გამო ს. თაყაიშვილს კინაღამ უარი უთქვამს, მაგრამ მორიდებია რეჟისორისა, თან აქტიორული თვალსაზრისითაც მოსწონებია „დათა თუთაშხია".

— ერთ დღეს შევედი გარდერობში და 47 ნომერი ჩექმა ავირჩიე. წითელი, ნაოჭმიყრილი ბოლო კაბა, რომლის შიგნით ფართხუნა, გლეხური შარვალი ჩავიცვი, კაბა წითელი, შარვალი ნაცრისფერი, ზემოდან მეცხვარის უსახელო სათბილობელი... წელზე ყაბალახი შემოვიხვიე. ეს შტრიხი ჩემმა წელკავმა მიკარნახა და ვიფიქრე: სწორედ აქედან დავიწყებ მეთქი თამაშს! წაკუზულმა რომ გავიარე, სიცილი ვერ შეიკავეს, მოეწონათ და მეც ვიგრძენი, რომ ეს უკვე ასეთი იყო. ასეთი სიარული მის ქურდულ გამოხედვას და მის საძაგელ, ჯაშუშურ ბუნებას კიდეც მიესადაგა, უკეთ გამოიკვეთა.

მსახიობი კმაყოფილი დარჩა თავისი ეპიზოდით, თუმცა კმაყოფილების გრძნობა სესილია თაყაიშვილისათვის თითქმის უცხოა.

საკუთარი თავისადმი ასეთი მკაცრი მომთხოვნელობის შედეგია სცენის მიტოვებაც, რითაც სესილია თაყაიშვილმა ძალზე დასწყვიტა გული ნიჭის თაყვანისმცემლებს. ის ზუსტად ათი წლის წინათ გამოეთხოვა საყვარელ სცენას (თუმცაღა, რა სჭირდა სამისო,) მაგრამ შემოქმედებითი ცხოვრება ეკრანზე გრძელდება. მისი თეატრალური და კინოცხოვრება კი ნახევარ საუკუნეს მოიცავს. მას, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, შარშან შემოდგომაზე 70 წელი შეუსრულდა. პარტიამ და ხელისუფლებამ იგი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს.

ს. თაყაიშვილის განსახიერებულ ქართველ ქალთა კრებულში უნდა მოვიხსენიოთ სოფიო („სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი") ნაყომი (გ. ბააზოვის „მუნჯები ალაპარაკდნენ"), ევა (ვ. გაბისკირიას „უფსკრულთან"), დედა (რ. თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი"), გვირისტინე (პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება"); გარდა გვირისტინესი, ამ მარჯვე, ხალისიანი კოლმეურნე ქალისა, ყველა როლი მცირეა.

მსახიობი ასე ამბობს:

—ჩემს შემოქმედებაში ჭარბად არის ეპიზოდური როლები, მაგრამ მათი შესრულება უფრო ძნელია; დიდი როლი ფონს გაგიყვანს, ამათ კი მეტი შრომა სჭირდებათ, რომ მაყურებელს დაახსომდეს. კინოეპიზოდებიდან ყველაზე მეტად დეიდა ვასასი მიყვარს რევაზ ჩხეიძის ფილმ „ჩვენი ეზოში". „არ დაიდარდო"-შიც პაწაწინა როლი მქონდა, მაგრამ მასშიც ვიპოვე საჩემო და საინტერესო ძარღვი.

სული შემოქმედისა ნიადაგ მდიდრდება, ახლდება, რაც ახალ ადამიანს, ახალ გმირსაც უნაწილდება, ავსებს და სისხლსავსე მხატვრულ სახედ მოგვევლინება.

ყველაზე დიდი ჯანი, სიყვარული თუ ცრემლი მსახიობებმა ბებიას სახეს შეალია ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში". თითქოს ავტორს საგანგებოდ სესილია თაყაიშვილისათვის დაეწერა ის (მისთვის მართლაც უნდა იწერებოდეს როლები). ჩვენი სესილია განუმეორებელი ბებია იყო სცენაზე და ამიტომ ვერ აუარა მას გვერდი ფილმის გადაღების დროს რეჟისორმა თენგიზ აბულაძემაც. მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. ასზე მეტად გათამაშდა „მე ბებია, ილიკო და ილარიონი". ეს იმას ნიშნავს, რომ მსახიობი ასჯერ მოკვდა და გაცოცხლდა!

მახსოვს, ერთხელ ტელეგადაცემის დროს მოიგონა ამ სპექტაკლის განახლებასთან დაკავშირებული ამბავი: რეპეტიციაზე ერთხელ გაჭირვეულდა, ახალი ტახტი დაიწუნა, რადგან ძველებური, სოფლური იერი არ ჰქონდა. — თუ გარემო, დეკორაცია არ მეჩაშნიკება, არ შეეფერება გმირის სულიერ სამყაროს, ვერა და ვერ ვითამაშებო, — დაუმატა მსახიობმა, როცა ეს ამბავი გაავახსენე.

— მე ამ ტახტზე ვერ მოვკვდები, ქვასავით არის, — თქვა მაშინ და რეპეტიცია მიატოვა.

... ახალი ტახტი სასწრაფოდ შეცვალეს და სესილია თაყაიშვილიც მოლბა.

— თუ ჰყავს თქვენს ბებიას პროტოტიპი?

— როგორ არა, დედის დედა, ელისაბედ ძნელაძის ქალი. ის დამყვებოდა სულ ბებიას სახეზე ფიქრისა და მუშაობის დროს. ძალიან მიყვარდა ბებიაჩემი, გამრჯე, ყოჩაღი, გულთბილი ქალი.

— კინოფილმში ერთ-ერთი უშუალო და ღიმილის მომგვრელი ეპიზოდია, ქოლგით რომ მისდევთ ზურიკელას. მაშინაც ბებია „მოგდევდათ" გვერდით?

— მაშინაც, მაგრამ სირბილი რა არის, ის ჩემზე ყოჩაღად იყო. 70 წლის მოხუცი ისე ავიდოდა ხეზე, ერთს არ დაიკვნესებდა: მე შეშინებული ვწრიალებდი ხოლმე ხის ძირში და ვეხვეწებოდი: — ბებია, ჩამოდი, თუ ღმერთი გწამს, არ ჩამოვარდე...

— წადი, წადი, წადი, — დამიტატანებდა ბებია.

ახლახან მან მარადიას როლი შეასრულა თ. აბულაძის „ნატვრის ხეში". დარდისაგან დაპატარავებული და დამუნჯებული ჩაჩოქილა იგი. მისი ენა უძლურია გამოთქვას სიტყვები. უხმოდ აღებს პირს და ხელებითღა ეკითხება ხალხს — „რას ერჩოდით ამ უმანკო მარიტას"... რამდენიმე წამს გრძელდება ეს უსიტყვო მონოლოგი. მაგრამ მისი თვალები, ტალახიანი თითები ენაზე უფრო მეტყველია.

მე მხოლოდ ქართველ ქალთა კრებულზე ვისაუბრე. ეს მხოლოდ ფრაგმენტებია ამ იშვიათი ნიჭის მქონე მსახიობის მრავალსახეობისა, მსახიობისა, რომელიც გლეხის ქალის ეპიზოდურ როლსა და დედოფალს ერთნაირი მღელვარებით ასახიერებდა (გახსოვთ, შილერის „მარიამ სტიუარტში" ინგლისის დედოფალი ელისაბედი, გულგოროზი და გონიერი ქალი, პორტრეტული მსგავსებითაც რომ გაგვაოცა!) დიახ, მღელვარებით, რადგან მისთვის ყოველი წარმოდგენა ახალი იყო, ყოველი როლი ხელახლა იძერწებოდა. ეს მღელვარება მას ახლაც სჩვევია, საჯაროდ გამოსვლას, შეხვედრებს, ტელეგადაცემებსაც ალბათ ამ მიზეზით ერიდება — ენა არ დამებასო.

ეს ღელვაც უხდება!

... ეს მხოლოდ ფრაგმენტია სახალხოდ აღიარებული ხელოვანის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის პორტრეტისა, დიდი შემოქმედი ქალისა.

... გორკის ეამაყებოდა სიტყვა ადამიანი. ასევე საამაყოა სიტყვა მსახიობი!

**ნანა ღვინეფაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

### ინტერნაციონალიზმის თემაზე

# მეგობრობის ხიდი

ოცდათექვსმეტი წელია არ ენახათ ერთმანეთი. მაგრამ მყისვე იცნეს ერთიმეორე.

ეს იყო ორი წლის წინათ.

ერთმანეთს შეხვდნენ ტაჯიხონ შადიევა—უზბეკეთის თვალსაჩინო პარტიული და საბჭოთა მუშაკი, მაშინ ფერგანის იუსუპოვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი (ამჟამად პენსიონერია) და ქეთევან კლდიაშვილი-ისლამოვა —ქართველი კლასიკოსი მწერლის დავით კლდიაშვილის ქალიშვილი და გამოჩენილი საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწის, ტრაგიკულად დაღუპული აკბარ ისლამოვის მეუღლე, საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი, პერსონალური პენსიონერი...

— ტაჯიხონ.. ტაჯიხონ...

— ქეთოხონ... ქეთოხონ...

დიდხანს იდგნენ გადახვეულნი, გარინდულნი, ერთმანეთს თვალებში შესცქეროდნენ და ამ თვალებით სურდათ დაენახათ ერთმანეთის ფიქრი, ერთმანეთის დარდი, სიხარული. და ხედავდნენ კიდეც. ისინი იდგნენ, შორს კი მოჩანდა ფერგანის ხეობა, ფახტის (ბამბის) პლანტაციები. იდგა ორი მოხუცი ქალი, რომელთა თმაც ფახტასავით გადაპენტილიყო. იდგნენ ორი ერის — უზბეკი და ქართველი ერების წარმომადგენლები — ამ 36 წლის წინათ ერთმანეთთან მადლიანი მეგობრობის გრძნობით დაკავშირებულნი, მერე კი ბედის აღმა-დაღმა ტრიალით ერთმანეთს მოწყვეტილნი და ისევ შეკავშირებულნი — ამ უკვე დარწყულებულ და აყვავებულ ფერგანის ხეობაში, რომელიც მათ თვალწინ შენდებოდა, მათ თვალწინ დამშვენდა და დავაჟკაცდა.

— როგორა ხარ, რასა იქმ, ტაჯიხონ?..

ტაჯიხონი... პირველი უზბეკი ქალი, ვინც ფარანჯა — ჩადრი ჩამოიგლიჯა, ვინც უზბეკეთის ქალთა საუკუნოვანი ჩაგვრისა და მონობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის მებაირახტრე გახდა, ვის თვალწინაც ახალი საბჭოთა უზბეკეთი იბადებოდა.

— შენ, შენ როგორღა გიკითხო, ქეთო, ქეთოხონ?..

ქეთევანი... რა გზა გამოიარა, რა არ ნახა, რა არ გადახდა, თავს! საოცარია, მაგრამ რამდენი რამის წარმოდგენა ძალუძს ადამიანის გონებას რამდენიმე წუთში. ამ რამდენიმე წუთში გაიელვებს მთელი მათი ცხოვრება...

...შორეული ზღაპარივით, ტკბილ ნანინასავით ახსენდება ქეთევანს ბათუმი, სადაც დაიბადა, ქუთაისი, სადაც სწავლობდა, თბილისი, სადაც უკვე თავისი შეგნებული ქალიშვილობის წლები გაატარა, სიმონეთი, სადაც ყოველ ზაფხულს ატარებდა. მამა-დავით კლდიაშვილი, დედა — მარიამ მაჭავარიანი, რომელიც ქეთევანსა და მის დაძმებს არ აჭაჭანებდა ხოლმე იმ არემარეს, სადაც დავითი იჯდა და წერდა. ახსენდება თბილისი, თავიანთი პატარა ბინა ელბაქიძის დაღმართზე, ყოველ საღამოს თეატრისკენ ჩქარი ნაბიჯით მიმავალი დავითი..

და უცებ „ქეთოხონობა“ მოისურვა დავითის ქეთო — ქეთუნიამ, უცებ მოსწყდა მამის კერას, სამშობლოს და... უზბეკთა სათაყვანებელი რძალი გახდა ეს ლამაზი, ეშხიანი ქართველი ქალი.

სიყვარულო, ძალსა შენსაო.. — სწორედ რომ ამაზე იტყვიან ქართველები. ქეთევანი ლამის გაიპარა შინიდან. მამისეულ მოწნულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათაში თავისი ორიოდე კაბა ჩააწყო და აიბარგა. მოსკოვში მას აკბარი ელოდა. ეს იყო 1927 წელი და ამ დროს აკბარ ისლამოვი უკვე უზბეკეთის წარმომადგენელი გახლდათ სსრ კავშირის მთავრობაში. ხალხის წიაღიდან გამოსული აკბარი ხალხსვე დაუბრუნდა, მისთვის ზრუნვით განიმსჭვალა, დღე არ ეძინა და ღამე. შინ კი, მოსკოვის ბინაში, კედლიან-იატაკიანად წიგნებით რომ იყო მოფენილი, ტევა არ იყო ხოლმე. მოსკოვში სასწავლებლად ჩამოსულ უზბეკებს ზრუნვას არ აკლებდა აკბარი. და ქეთევანიც თავს ევლებოდა მათ — აცმევდა, აჭმევდა, ასმევდა, რჩევა-დარიგებას აძლევდა. ხშირად ყოფილა აქ ტაჯიხონიც — მაშინ რაიკომის მდივანი იყო და ხშირად უხდებოდა მოსკოვში ჩამოსვლა.

ქეთევანი შვილს ელოდა. და მხოლოდ ახლა გაბედეს დავითისათვის ეთქვათ — შენი საყვარელი ქალიშვილი უზბეკს მისთხოვდაო. დავითი გონს ძლივს მოვიდა.. ერთი რამ კი იყო: სიძეს ნაკლი ვერ მოუძებნა, ადრე რამდენჯერმე ჰყავდა ნანახი ქუთაისში, თავის სახლში, დიდხანს უსაუბრიათ, მოხიბლულა მისი ვაჟკაცობით, არა მარტო გარეგნული, არამედ შინაგანი ვაჟკაცობით, მისი განსწავლულობით. მხოლოდ იმას ნაღვლობდა, რომ ამიერიდან მისგან შორს იქნებოდა ქეთევანი.

საოცარი, ხიფათით სავსე, საინტერესო ცხოვრების გზა განვლო აკბარ ისლამოვმა.

იგი ოთხმოცი წლის წინათ დაიბადა კოკანდში — ფერგანის ხეობის მზიან, აღმოსავლური ეგზოტიკით მდიდარ მყუდრო ქალაქში — ასამდე პოეტის სამშობლოში, აქაურები იყვნენ ნადიმი, ხუვეიდი, მახმურა, გულხანი, ფურკატი, მუკიმი, ხამზა ხაკიმ-ზადე ნიაზი, ნადირა..

თერთმეტი წლის აკბარი მამამ იშანს მიაბარა. მაგრამ ყურანის გამომაყეყეჩებელი ზუთხვა მობეზრდა ყმაწვილს, მამის ნებას არ დაჰყვა და ადგილობრივ რუსულ სკოლაში შევიდა. მაგრამ როგორ ისწავლიდა, თუ პურის ფული არ ჰქონდა. და ერთმანეთს მიეწყო გამომსავათებელი შრომის წლები. დღეში თორმეტ საათს შრომობდა ოქრომჭედლის სახელოსნოში, შემდეგ—მაჰმუდოვის სტამბაში. ფიცხი ჭაბუკი ყოველ უსამართლობაზე ინთებოდა. აღშფოთების საბაბი კი ბლომად ჰქონდა — სტამბის მუშებს უმოწყალოდ ჩაგრავდნენ. ჰოდა, აკბარმა მოუწოდა მათ, თავი დაანებოთ სამუშაოს. ასეც მოხდა. გავიდა დრო, და მუშები ისევ დაუბრუნდნენ თავიანთ პატრონს. აკბარი კი ვერ გატეხეს. მან მეფის საპყრობილეშიც კი იჩივლა. მაგრამ ამაოდ.

და აი, ახალგაზრდა უზბეკი იწყებს ბრძოლას. 1917 წელს იგი დაუახლოვდა ე. ბაბუშკინს, ლენინის წარგზავნილს, 1902 წლიდან პარტიის წევრს, რომელმაც კოკონდში ბოლშევიკური ჯგუფი შექმნა. აქ დაეწაფა აკბარი მარქსისტულ ლიტერატურას. ბაბუშკინის სკოლამ გადამწყვეტი როლი შეასრულა აკბარ ისლამოვის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

იმ მშფოთვარე 1918 წლის დღეებში, ავტონომისტთა კონტრრევოლუციური ამბოხების დროს აკბარი გულისტკივილით ტოვებს შამხანას და ამხანაგებთან ერთად ძველი ქალაქის უბნებში მიდის, სადაც სიცოცხლის რისკით, ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევა მოტყუებულ ადგილობრივ მოსახლეობაში. კოკანდის ბრძოლებმა კიდევ უფრო გამოაწრთო ახალგაზრდა მუშა. და ავტონომისტთა განადგურების შემდეგ ბოლშევიკები უყოყმანოდ იღებენ აკბარ ისლამოვს თავის რიგებში. ხალხი მას დეპუტატად და კოკონდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრადაც ირჩევს.

1918 წლის ოქტომბერში კოკონდელი მშრომლები მას საბჭოების VI საგანგებო ყრილობაზე გზავნიან. ყრილობის დელეგატებმა იგი თურქმენისტანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობასა და რესპუბლიკის მთავრობაში აირჩიეს. 1919 წელს კი ბუხარის საემიროში რუსეთის სფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოადგილედ იგზავნება. ამ დღეებში მის მშობლიურ ფერგანის ხეობას ბასმაჩობის ტალღა მოედო. კოლეგიის წევრი, შემდეგ კი შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე აკბარ ისლამოვი ადგილობრივ მოსახლეობას ბასმაჩთა ბანდების წინააღმდეგ საბრძოლველად რაზმავს, შემოწმებული ადამიანებით განამტკიცებს საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს. ბაები და სასულიერო წოდება ყოველნაირ საბოტაჟს უწევდნენ საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებებს. ზოგჯერ ისინი ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებშიც აღწევდნენ, პარტიას ეტმასნებოდნენ.

1922 წელს აკბარი სასწავლებლად გაგზავნეს მუშფაკში, რომლის დამთავრების შემდეგ შუა აზიის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე შედის.

1925 წელს მას ტაშკენტის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარედ ირჩევენ, ენერგიულად იბრძვის მებამბეობის, ირიგაციის, გზების, სამეურნეო და ენერგეტიკული საწარმოების მშენებლობის მომწიფებული საკითხების გადასაჭრელად.

მალე დიდად ერუდირებულ, ენერგიულ მუშაკს რესპუბლიკის მთავრობა სსრ კავშირის მთავრობაში უზბეკეთის წარმომადგენლის პასუხსაგებ პოსტს ანდობს. და აქ კიდევ უფრო გამოვლინდა აკბარ ისლამოვის ორგანიზატორული ნიჭი. რამდენ ენერგიას, ძალ-ღონეს ახმარდა იგი ადგილობრივი კვალიფიციური კადრების შექმნისათვის მუშაობას.

უზბეკეთში ისლამოვი დიდი სახელმწიფოებრივი მუშაობის გამოცდილებით გამდიდრებული ბრუნდება და მალე რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისრად ინიშნება. ქეთევანი მისი განუყრელი თანამგზავრი და მეგობარია.

წელიწადში ერთხელ მაინც ახერხებენ მთელი ოჯახით სიმონეთში ჩამოსვლას. ჩაჯდებოდა აკბარი სოფლის გლეხებში, საუბრობდა, ოხუნჯობდა... დიდბუნებოვანი, ხალასი გულის, უსპეტაკესი, უპატიოსნესი ადამიანი — ახლაც ასე იგონებენ აკბარს სიმონეთელები.

ქეთევანი ყოველთვის მეუღლეს გვერდით იყო, თუმცა სწავლობდა კონსერვატორიაში, შემდეგ, აკბარის რჩევით, მოსკოვის უნივერსიტეტში საგეგმო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე შევიდა. სწორედ ეს ინსტიტუტი დაამთავრა ქეთევანმა, სადიპლომო თემად „შუა აზიის ბამბის მრეწველობის განვითარების პერსპექტივები" აირჩია და ბრწყინვალედაც დაიცვა, ტაშკენტში.

ოჯახში ახალმა სიხარულმა დაისადგურა—ვაჟი გაჩნდა. იფიქრეს, რა დავარქვათო. ბოლოს ბაბუამ — დავით კლდიაშვილმა მოიწერა: თემური დაარქვით, ოღონდ არა იმ პირსისხლიანი თემურ ლენგის პატივსაცემად, არამედ დაე ეს იყოს ახალი უზბეკი თემური, ახალი ყოფის სიმბოლო რომ გახდება. და ქართველ და უზბეკ ხალხს შორის გადებულ ერთგვარ ხიდად მოგვევლინებაო.

და ვაჟს თემური დაარქვეს. აკბარი გაორკეცებული ენერგიით შეუდგა მუშაობას. ხან მოსკოვშია, ხან ტაშკენტში, სადაც, სადგურში, ყოველთვის თვალცრემლიანი დედა ხვდებოდა ხოლმე. იცოდა აკბარმა, არაბი ქალი მხოლოდ შვილის ხათრით, მხოლოდ შვილის ჩამოსვლის დღისათვის იხსნიდა ჩადრს — აკბარს გული არ ვატკინოო. იცოდა აკბარმა, რაც დედის გულში ტრიალებდა, ამიტომაც ემადლიერებოდა და ყოველთვის დიდ პატივს სცემდა დედას, რომელსაც მთელი კოკანდის ქალები რჩევა-დარიგებისათვის მიმართავდნენ ხოლმე.

და უცებ ყველაფერი თავდაყირა დადგა. აკბარი დაიღუპა.

...ფერგანის საბჭოთა მეურნეობის ეზოში დგას ორი ქალი — უზბეკი და ქართველი. ახლა მათ გარდასული წლები ახსენდებათ.

— ქეთოხონ, ქეთოხონ, როგორ მინდა აკბარის შვილის ნახვა, ამბობენ, ზედგამოჭრილი მამამისიაო...

ქეთევანს თვალწინ უდგას თემურ ისლამოვი — მისი და აკბარის შვილი — ეკონომისტი, სპორტის დამსახურებული მწვრთნელი ფარიკაობაში, საკავშირო მნიშვნელობის მსაჯი. თვალწინ უდგება შვილიშვილები — დათო, ნანა. „ჩემი უზბეკები, ჩემი პატარა უზბეკები"... — ფიქრობს ქეთევანი.

— ეე, ტაჯიხონ, რამდენი რამ გვაქვს კიდევ მოსაგონარი..

— გახსოვს, ქეთოხონ, ტაშკენტში რომ ჩამოხვედი? აკბარმა მზეთუნახავი ჩამოიყვანაო — მთელ ქალაქს მოედო ეს ამბავი, და ყველანი შენს სანახავად გამოვეშურეთ. გახსოვს, როგორ გბაძავდნენ უზბეკი ქალები სიარულში, ლაპარაკში, ჩაცმულობაში, გახსოვს ქეთოხონ?

ახსოვს, ყველაფერი ახსოვს ქეთევანს.

ტაჯიხონ შადიევას საშური საქმეები აქვს ახლა. ისეთი ბამბის კრეფაა გაჩაღებული, რომ ქეთევანსაც კი შურს — რატომ ახალგაზრდა არა ვარ, რომ უწინდებურად მივიღო მონაწილეობა ფახტაშიო.

ქეთევანმაც გზა უნდა განაგრძოს. რამდენი ხანია ამ მხარეში არ ყოფილა. კიდევ ბევრი ვინმე უნდა მოინახულოს — ვილოიატ ხოჯაევა — ფაიზულა ხოჯაევის — ბუხარის სახალხო საბჭოთა რესპუბლიკის, სახალხო ნაზირთა საბჭოს თავმჯდომარის, შემდგომში უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის—ქალიშვილი, თემურის ბავშვობის მეგობარი და ახლა უკვე ქეთევანის მეგობარიც, იულდაშ ახუნბაბაევის — უზბეკეთის სსრ პირველი პრეზიდენტის, აკბარის მეგობრის ოჯახი, საბირა ხალდაროვა, რომელმაც ტაჯიხონთან ერთად მოიხსნა ფარაჯა. მეხსიერებაში ცოცხლდება ის შორეული წლები, როცა აქ ცარიელი სილის გორაკები, ბარხანები იყო ირგვლივ, როცა უზბეკური უდაბური ადგილები გულს უკლავდა ქეთევანს, როცა აკბართან ერთად ამ მხარის აყვავებაზე ოცნებობდა, როცა მაიდაჩოჩიანი (წვრილნაწნავებიანი) და ჩადრიანი ქალები ჩქარი ნაბიჯით ჩაუვლიდნენ ხოლმე გვერდს და შურის თვალს გააყოლებდნენ უჩადრო ქართველ ქალს.

ახლა კი სირ-დარიამ, ამუ-დარიამ და ზარაფშანმა მაცოცხლებელი წყალი ასვეს ხახაგამომშრალ უზბეკურ მიწას და ბამბის პლანტაციებით გადაპენტეს უსიცოცხლო ხეობა.

— შარაფლარ! —- ამბობს ტაჯიხონი.

— გაუმარჯოს მშრომელ ხალხს! შარაფლარ! — ამბობს ქეთევანიც.

და თავ-თავის გზაზე მიდის ორი ქალი — უზბეკი და ქართველი, რომ მერე, ახლა უკვე თბილისში, ისევ შეხვდნენ ერთმანეთს ქეთევანის ოჯახში.

ისლამოვების ოჯახს კი თბილისში ხუმრობით უზბეკეთის მუდმივ წარმომადგენლობას უწოდებენ. ყველა უზბეკი, ვინც კი საქართველოში ჩამოდის, თავს ვალდებულად თვლის ეახლოს „უზბეკ ქართველებს“, აკბარ ისლამოვის მონაგარს, ეახლოს და მადლობა უძღვნას, კიდევ ერთხელ მოიგონოს დიდი უზბეკი შვილი, რომლის სახელი ახლა კოკონდის ერთ-ერთ ქუჩას ამშვენებს და რომელსაც მოწიწებით, სიყვარულით იხსენიებენ ქეთევანის ოჯახში.

... კედელზე ჰკიდია ფოტოსურათი — ქეთევანი ფეხმორთხმული ზის სორზე (ტახტზე), იქვე აკბარია, და ისეთი სიყვარულით შეჰყურებს ქეთევანს, თავის ერთგულ და ნამდვილ მეგობარს, ისეთი რწმენა, ისეთი გულისხმიერება გამოსჭვივის მის თვალებში, ძნელი დასაჯერებელია, რომ აღარ არის ეს უზბეკი დევგმირი, რომ ჩაქრა მისი მგზნებარე მზერა.

ოთახში შემოდის თემურ ისლამოვი — ზედგამოჭრილი მამამისი, მას მოჰყვებიან დათო და ნანა — ზედგამოჭრილი პატარა აკბარები, და გჯერა — ორ ხალხს შორის მართლაც გაიდგა ის მეგობრობის ხიდი, რომელზეც დავით კლდიაშვილი ოცნებობდა, როცა აკბარისა და ქეთევანის შვილს თემურს არქმევდა.

ლია გოგიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზი თარაგამაძე

## ჩემზე ნუ შემართავ ხელს

ქარმა შემაცალა ფოთლები,
გვალვამ დამადარა ხმელს,
ნედლი მაქვს გული და ტოტები
ჩემზე ნუ შემართავ ხელს!

უსმინე ექო ვით გასძახის
ჩემს წუხილს ხევიდან ხევს: —
ნუ მომკლავ ხერხით და ნაჯახით,
სიცოცხლე აცალეთ ხეს!

ჩათავდა გვალვა და ქარები,
მე ისევ მოვითქვამ სულს,
ჩემს მოჭრას ნუ დაეჩქარები,
მადროვე, სიცოცხლე მსურს!

მე კიდევ გავუძლებ ათას ქარს,
გვალვასაც გავუძლებ კვლავ,
მე შენთვის,
მე შენთვის ვცოცხლობ და
შენ რისთვის,
შენ რისთვის მკლავ?!



## აპრილის ქარი

ყველგან წისქვილი დაუდგამს
აპრილის ცუღლუტ ქარს,
ატმის და ნუშის ყვავილებს
ერთი შებერვით ფქვავს.

ძლივს აყვავილდნენ ვაშლები,
ყინვას გადურჩნენ ძლივს,
ახლა მოჰყვება ქარი და
ამათაც მოჰფენს ძირს.

ღრუბლებსაც მიფანტ-მოფანტავს
ისე ჩაუქად ჰქრის,
მზეს პირის ბანას შეუშლის
თუ არ მოკუმავს პირს.

თუ არ იყუჩა, გადაშლის
ესე მშვენებას ცის,
ალაგ-ალაგ რომ მზეა და
ალაგ-ალაგ რომ ცრის.

თუ არ იყუჩა, უნაზესს
გულს ატკენს ნიავ-დას,
ვინც უღირღიტებს თუ ამ მზეს,
თუ უფრო მზიან დარს.

ვინც ქარსაც უმზერს და უკვირს
დაუდევრობა ძმის,
ვინც... მესმის რატომ ვერ ამბობს
იმის აუგს და ძვირს.



## გაზაფხული

მზეს მოსწყინდა, მზეს მოსწყინდა
თვალხუჭობანა.
ჭორფლიანი პირი წვიმით ჩამოიბანა,
გამოჩნდა და გამობრწყინდა,
გამოანათა,
თოვლის თეთრი კაბა გულზე გადაიხსნა მთამ,
ვაზის მოვლის დრო დადგაო — გამრჯე კაცმა თქვა,
მოათავა ჭიგო-სარის გასხეპვა და თლა
და ალერსით მოუსინჯა ვენახს ლორთქო რქა.
გულმოხატულმა მერცხალმა ფრთას შემოჰკრა ფრთა,
და ჟღურტულით ჩამომარცვლა:
გა-მო-ზაფ-ხულ-და...!
აქ კეკლუცობს ალუბალი
და ატმის ხე იქ.
ისმის ხმები სანუკვარი:
ჭიკ,ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ...
ტკბილ სუნს აფრქვევს თეთრ ფრთებიდან
აკაციის ტყე.
დადგა შრომის მადლიანი გაზაფხულის დღე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალთა შრომითი დასაქმების პრობლემა

(ოთხსაათიანი სამუშაო დღე)

ამ რემდენიმე წლის წინათ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე პოლემიკა გაიმართა. ქვეყნდებოდა წერილები — „ერთი შვილი — ვითომ შვილი“, „წინათ და ახლა“ და სხვ. შობადობის ნაკლებობა ეროვნულ პრობლემად იქცა. ციფრები ჯიუტად მეტყველებდა, რომ საქმე მიხედვას ითხოვს.

დაიწერა სოციოლოგიური გამოკვლევები, გამოითქვა მრავალი სასარგებლო აზრი, იწყეს მიზეზთა ძიება. თვალნათლივ გამოიკვეთა პრობლემა ქალთა შრომითი დასაქმებისა.

თანამედროვე ქალს ნაკლები დრო ხომ არ რჩება დედობისათვის; ეს მისი უპირველესი მოვალეობაა (აქ უკუ პრობლემა არის: ოჯახის ქალები ნაკლებად მონაწილეობენ საზოგადოებრივ საქმიანობაში).

შემთხვევით არ გამიხსენებია ეს პოლემიკა. იგი ორგანულად უკავშირდება იმ ღონისძიებას, რაც 1 მაისის სახელობის № 7 სამკერვალო ფაბრიკაში გატარდა.

1969 წელს ამ საწარმოში 35 კაცის შემადგენლობით შეიქმნა ბრიგადა, რომელიც ცვლაში 4 საათს მუშაობდა. თავდაპირველად ეს ექსპერიმენტის ხასიათისა იყო, პირველად ინერგებოდა საქართველოში, თუმცა, რუსეთისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკაში დიდი ხნის პრაქტიკა ჰქონდა.

მაშინ ფაბრიკაში მოვიდნენ უნივერსიტეტის ეკონომიკის კათედრის დოცენტი პ. გარუჩავა და შრომითი მოწყობის განყოფილების უფროსი გ. ქართველიშვილი, ფაბრიკის ხელმძღვანელებთან ერთად იმსჯელეს, რა სარგებლობას მოიტანდა ოთხსაათიანი ცვლა: მუშაობაში ჩაებმებოდნენ მარტოხელა დედები, რომელთაც პატარებისა და ოჯახის მიმხედავი არავინ ჰყავდათ; პენსიონერები, რომელთაც მცირე საპენსიო შემოსავალი აქვთ, ან, სურთ იმსახურონ, არ მოწყდნენ წარმოებას, საზოგადოებას. აქ გამოიყოფოდა ერთი ჯგუფი — ინვალიდობით პენსიონერებისა.

ოთხსაათიანი ცვლა ხელსაყრელი იქნებოდა საღამოს დასწრებული სწავლების სტუდენტთათვის და მოსამზადებელი კურსების აბიტურიენტებისათვის. მათ სამეცადინო დრო დარჩებოდათ.

ისიც ითქვა, რომ ეს ღონისძიება მაინცდამაინც მომგებიანი არ იქნებოდა წარმოებისათვის, მაგრამ ამას აანაზღაურებდა ფსიქოლოგიური მხარე — მხარდაჭერა მშრომელთათვის. წარმოება ხომ ცოცხალი ორგანიზმია და მისი წარმადობა ბევრ რამეზეა დამოკიდებული.

ერთი წლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ოთხსაათიანმა სამუშაო დრომ გაამართლა იმედი, შეიქმნა სხვა ბრიგადებიც. ამჟამად ფაბრიკაში 146 ქალი მუშაობს ასეთი დატვირთვით. როგორც ამბობენ, მსურველი ბევრია.

ცვლის მუშაობა თხუთმეტ საათსა და 40 წუთზე იწყება, 20 საათზე მთავრდება. ცვლის უფროსმა ზინაიდა ძინძიბაძემ აღნიშნა: — ქალები მონდომებით მუშაობენ. ნაკლებადნაყოფიერი საათები არა გვაქვს, მაშინ, როდესაც, სრულ ცვლებში, დილის საათებში და დამთავრების ხანს მუშაობა ზოგჯერ დუნდება. გეგმას ყოველთვის ვასრულებთ, არც დისციპლინა მოისუსტებს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მუშახელის დენადობაა. მიდიან აბიტურიენტები...

ჩვენი საუბარი ამ კითხვით დაიწყო — რატომ მუშაობთ ამ ცვლაში?

მათი პასუხები მეტნაკლებად ერთმანეთს ჰგავდა.

მარინე მგელაძე — ლანჩხუთის რაიონიდან, სოფელ აცანიდან ვარ. ვაბარებდი უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ქულები არ მეყო. დავამთავრე 43-ე პროფტექნიკური სასწავლებელი და აქ მოვედი სამუშაოდ. დასთან ერთად ვცხოვრობ. საღამოს 9-ის ნახევარზე უკვე შინ ვარ. ვმეცადინეობ. დრო საკმაო მაქვს. სწორედ იმის გამო, რომ მხოლოდ 4 საათს ვმუშაობ.

მარინე ჯანიაშვილი: — ხუთი წელია სულ ოთხსაათიან ცვლაში დავდივარ. ეს რომ არა, გამიჭირდებოდა სწავლისა და შრომის შეთავსება.

მარინე მამულაშვილი — სამედიცინო ტექნიკუმის I კურსის სტუდენტი: ჩემი ყოველთვიური გამომუშავება 70 მანეთია, სტიპენდიაც მაქვს. ოჯახში ოთხნი ვართ: მე, დედა, და და ძმა. მამა 1943 წელს გარდაიცვალა. დედა სავაგონო დეპოში მუშაობს. და-ძმა პატარები არიან. დედას ვეშველები ხოლმე.

ნორა ბენდელიანი: — ორი შვილი მყავს, შვილო! ერთი 18 წლისაა, მეორე 20-ისა. ორივე სწავლობს. 16 წელია მეუღლე გარდამეცვალა. ოჯახში მომხმარე არავინ მყავდა. მარტოკამ გამოვზარდე შვილები. მესამე ჯგუფის ინვალიდი ვარ, გულს ვუჩივი. ქმრისგან მაქვს პენსია 29 მანეთი. აქ სამუშაოდ 70 მანეთს ვიღებ ყოველთვიურად. პირდაპირ სულზე მომისწრო ამ ოთხსაათიანმა ცვლამ.

სათო მელქაძე — შვილიშვილი მყავს (ბებო ენაცვალოს ჩემს ეკას!), 2 წლისა და 5 თვისაა. შვილი სტუდენტია, რძალიც. იმათ ვეშველები. რომ იცოდეთ, როგორ უყვარს საჩუქრები ჩემს შვილიშვილს. ის ხარობს და, მასთან ერთად სიხარულით მევსება გული.

თამარ თათრიშვილი: — რა ვიცი, შვილო! ვერ აეწყო ჩვენი ოჯახი. ჩემი ვაჟი და რძალი სულ ჩხუბობდნენ. დასცილდნენ ერთმანეთს. ახლა შვილთან ვარ. მისი გულისთვის გადავედი ოთხსაათიან სამუშაო დღეზე. მგონი ესეც მიჭირს: დიაბეტი და წნევა მაწუხებს.

ზინაიდა ძაავაშვილი — 14 წლისამ დავიწყე მუშაობა. ობლობაში ვარ გაზრდილი. მამა ჯარში დამეკარგა, დედა გამითხოვდა. ბიძა მეხმარებოდა. გავთხოვდი. 3 შვილი მყავს. მე და ჩემი მეუღლე ერთმანეთის ხელშეწყობით ვზრდით. 7. წელია, რაც ამ ფაბრიკაში ვარ, სულ ოთხსაათიან ცვლებში ვმუშაობ. ეს ჩემთვის მეტად ხელსაყრელია. (ბრიგადირი ნუნუ ომიაძე ღიმილით გვეუბნება ცეცხლივით ქალია, ყველაფერს სწრაფად და მარჯვედ აკეთებსო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეილა პაპუნაშვილი: — სამი შვილის დედა ვარ. გოგოს ლელა ჰქვია, ტყუპ ბიჭებს კი — ზაზა და კახა (კი, კარგი ბიჭები არიან, — ეღიმება ლეილას). მეუღლე ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში ოსტატად მუშაობს. ერთოთახიანი ბინა გვაქვს. 16 წელია, რაც ამ ფაბრიკაში ვმუშაობ, 1969 წლიდან ოთხსაათიან ცვლაში ვარ. გასაგებია, რა მიზეზითაც. (ნუნუ ომიაძე ლეილასაც გულუხვად აქებს: რა უნდა დაავალო, არ შეგისრულოსო. ჩამშვებია. ზომებს ამოწმებს. ყოველ დეტალს გულდასმით სინჯავს, არაფერი გამოეპარებაო).

სხვებმაც ილაპარაკეს, ნინა გუგულაშვილმა, ელენე ხასიევამ, ციალა არჩვაძემ, ლუიზა ბოსიტაშვილმა, ნანული ჩიფჩიურმა, მანია ნაზაროვამ ზოგს ეკონომიურად უჭირს, ზოგს საპენსიო სტაჟი აკლია, ზოგსაც შვილებთან დამტოვებელი არავინ ჰყავს. შეიძლება ითქვას, რამდენი მუშახელიც არის, იმდენი მიზეზია და ოთხსაათიანი სამუშაო დღე. ყველასთვის ხელსაყრელია.

დავუბრუნდეთ ისევ სოციოლოგიურ საკითხს — ქალთა შ ომით დასაქმებას.

რაც № 7 სამკერვალო ფაბრიკაში კეთდება, სხვა წარმოებაშიც უნდა დაინერგოს, უფრო მასშტაბური გახდეს. აქ ერთეულები ლაპარაკობენ, მათი მსგავსნი კი, ვინ იცის, რამდენია მარტო თბილისში!

ხშირად გაიგონებთ ამ ფრაზას (როცა მაღალფარდოვნად ლაპარაკობენ, განსაკუთრებით მაშინ): ქალი-მეუღლე, ქალი-დედა, ქალი-საზოგადო მოღვაწე.

ასე დატვირთა თანამედროვე ეპოქამ იგი. რომ არ გაუჭირდეს, ხელშეწყობა სჭირდება (აქ საგანგებოდ ქალებზე ვამახვილებ ყურადღებას, თორემ სამუშაო დროის შემცირება არც პენსიონერ და ინვალიდ პენსიონერ კაცთათვის არის ურიგო).

მუშახელთა რამდენიმე კატეგორიიდან განსაკუთრებით მინდა გამოვყო პენსიონერები და მარტოხელა დედები. ცნობილია ფაქტი, რომ ღრმა სიბერემდე არ სურს ადამიანს სამსახურს დაანებოს თავი, რადგან ეჩვენება, რომ კავშირს წყვეტს ცხოვრებასთან, საზოგადოებასთან, უფუნქციო ხდება. მშრომელი კაცისთვის ეს უდიდესი ტკივილია.

ახლა დედათა პრობლემა, მცირე ექსკურსიიდან: ჩვენი წარსული ხოტბას ასხამს 9 და 11 შვილის გამზრდელ დედებს, არც მაშინ იყო ქართველი ქალი გულხელდაკრეფილი. ხომ სიმბოლოდ იქცა: ცალ ხელში მახვილი და მეორეში ფიალაო.

რა დასამალავია, ახლა იშვიათობად იქცა მრავალშვილიანობა, მით უმეტეს, დიდ ქალაქებში.

აქ მრავალი პრობლემა მოიყრის თავს, რომლებიც საგანგებო მსჯელობის ღირსია. მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ. თუ მარტოხელა დედებს მასობრივად მიეცემათ საშუალება შემცირებული დროით იმუშაონ, ეს ალბათ ხელს შეუწყობს შვილების გაჩენა-გაზრდასაც და ქალებს კულტურული დასვენების დრო მიეცემათ.

სიტყვა სოციოლოგებს ეკუთვნით.

თინა ჩხაიძე




# ქართული სახალხო თეატრის მატიანე

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების მუშათა მოძრაობის აღმავლობამ ნიადაგი შეუქმნა მუშათა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, მათ შორის სახალხო თეატრების დაარსებას. პირველი ასეთი თეატრი 1893 წელს გაიხსნა თბილისში, ეგრეთწოდებულ ავჭალის აუდიტორიაში, ავჭალის მოედანზე (დღევანდელი ფიროსმანის მოედანი). მას მოჰყვა სახალხო თეატრები თბილისის სხვა განაპირა უბნებშიც — ავლაბარში, ნაძალადევში, ხარფუხში, ვერაზე, საბურთალოზე. და ბოლოს, 1909 წელს, თბილისში, მაშინდელ კირკის ქუჩაზე გაიხსნა ქველმოქმედ ზუბალაშვილების სახსრებით აგებული სახალხო სახლი (დღევანდელი კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შენობა). აქ გადმოვიდა ავჭალის აუდიტორიის სახალხო თეატრი, აქ განაგრძო თავისი მოღვაწეობა მან „სახალხო სახლთან არსებული ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის“ სახელწოდებით.

ამ თეატრთა ორგანიზატორები და მსახიობები მუშები იყვნენ. თეატრების მუშაკები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი არალეგალურ რევოლუციურ ორგანიზაციებთან. მათს დადგმებს გარკვეული მიზანდასახულობა ჰქონდა — ისეთი პიესები უნდა დაედგათ, რომლებიც მაყურებელს თვალწინ გადაუშლიდა სოციალურ უსამართლობას. რეპერტუარის ეს კლასობრივი ტენდენცია სახალხო თეატრების ნიშანდობლივი თვისება იყო.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სახალხო თეატრების მზრუნველი თვით სახელმწიფო გახდა. ამდენად, თეატრთა იდეურ-მხატვრული განვითარების გზები უფრო მდიდარი და ნაყოფიერია. ამჟამად რესპუბლიკაში ორმოცამდე სახალხო თეატრი და ასეული დრამატული წრე მუშაობს. ესენი ღირსეული მემკვიდრეებია რევოლუციამდელი სახალხო თეატრებისა, რომლებსაც უდიდესი დამსახურება მიუძღოდათ მშრომელთა გათვითცნობიერებისა და პოლიტიკურად აღზრდის საქმეში.

რევოლუციამდელი სახალხო თეატრისა და, საერთოდ, თვითმოქმედი სათეატრო ხელოვნების ისტორია აუცილებლად შესასწავლი საგანია, შესასწავლია, როგორც ქართული თეატრის ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. სამწუხაროდ, ამ დარგში ცოტა რამ არის გაკეთებული. ამ ხარვეზს წარმატებით ავსებს თამარ გომართელი. მისი სახით ქართულმა თვითმოქმედმა თეატრალურმა ხელოვნებამ უეჭველად გულმოდგინე მკვლევარი შეიძინა. ამ უკანასკნელ წლებში თამარ გომართელმა რამდენიმე წიგნი გამოაქვეყნა თვითმოქმედ ხელოვნებაზე, სახელდობრ: „მხატვრული თვითმოქმედება სახელმწიფო უნივერსიტეტში“, „სტუდენტთა თეატრი და თვითმოქმედი კოლექტივები სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში“, „ნაძალადევის მუშათა თეატრები“, „მხატვრული თვითმოქმედება პოლიტექნიკურ ინსტიტუტში“, „ნაძალადევის მუშათა ოსური თეატრი“.

ამჟამად კი ჩვენ წინ დევს თამარ გომართელის ახლახან გამოსული 900 გვერდიანი წიგნი: „სახალხო თეატრების ფარდასთან“. ავტორი მიმოიხილავს თბილისის სახალხო თეატრებისა და კლუბების ისტორიას. იგი მადლობის ღირსია იმ დიდი შრომისათვის, რაც წიგნის შექმნისას გაუწევია. ამ წიგნის ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს ავლაბრის სახალხო თეატრის, ხარფუხის სახალხო თეატრის, ორთაჭალის მუშათა კლუბის, ნავთლუღის მუშათა კლუბისა და მ. გორკის სახელობის კულტურის სახლის ისტორიას. მათ შორის ყველაზე დიდი აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილი წიგნში ავლაბრის სახალხო თეატრის ისტორიასა აქვს დათმობილი; აღწერილია 90-იან წლებში ავლაბარში იშვიათად გამართული სცენისმოყვარეთა წარმოდგენები და შემდეგ, 1902 წელს მუდმივი სახალხო თეატრების დაარსება. მოთხრობილია, თუ როგორ შეიქმნა ქართული სახალხო თეატრის პირველი კერა ავლაბარში, ოფიცერმა ნ. მურაშკომ თავისი ხარჯით აგებულ პატარა სათეატრო შენობაში. ამ თეატრის დაარსების ერთ-ერთი მოთავე და პირველი რეჟისორი იოსებ იმედაშვილი იყო; რომელმაც, ჯერ კიდევ 1893 წელს, ავჭალის აუდიტორიაში, სახალხო თეატრი დააარსა. მანვე შეადგინა ამ ორი თეატრის წესდება.

წიგნში დაწვრილებით არის აღწერილი თეატრის გახსნა (1902 წლის 10 ნოემბერი), გაშუქებულია თეატრის მოღვაწეობა რევოლუციამდელ პერიოდში და მას შემდეგაც, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას, როდესაც სახალხო თეატრმა მუშათა კლუბის სახელი მიიღო. ხაზგასმულია ქართული და სომხური სახალხო თეატრების შეხმატკბილებული მუშაობა (სომხური თეატრი ავლაბარში დაარსდა 1903 წელს პ. არაქსიანისა და გ. ფირუმიანის თაოსნობით). მოყვანილია ბიოგრაფიული ცნობები თეატრის მოღვაწეებისა: ნ. მურაშკოსი, ი. იმედაშვილისა, ბ. მაისურაძისა, მ. ლელაშვილისა, ლ. ბალაშვილისა, დ. მელაშვილისა, გ. გელიკურაშვილისა, რ. სალაყაიასი, ი. მჭედლიშვილისა, ნ. მირველოვისა, ა. ბაჯიაშვილისა, თამარ აფხაზიშვილისა, დარო რჩეულიშვილისა, ნინო საყვარელიძისა, მაკა ქართველიშვილისა, ანა კავთელისა და სხვათა. მოხსენებულია აგრეთვე ცნობები ამ თეატრის სცენისმოყვარეთა შესახებ, რომლებიც შემდგომ პროფესიონალ მსახიობებად მოღვაწეობდნენ. ესენი იყვნენ: ნ. გვარაძე, ვ. მატარაძე, ს. სულთანიშვილი, მ. სულთანიშვილი, გ. დარისპანაშვილი, ზ. გომელაური. როგორც ცნობილია, რევოლუციამდელი სახალხო თეატრების მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მუშათა რევოლუციურ ბრძოლასთან და ამის გამო თეატრებს გარკვეული სოციალური მიმართულება ჰქონდათ. წიგნის ავტორს მრავალი ფაქტობრივი მასალა აქვს მომარჯვებული, რომ დაამტკიცოს სახალხო თეატრების ეს უწყვეტი კავშირი არალეგალურ რევოლუციურ მოღვაწეობასთან. მაგალითად, აღწერილია შემთხვევა, რომელიც 1910 წელს, ცარიზმის რეაქციის სუსხიან პერიოდში მოხდა: პირველი მაისი თეატრმა საგანგებოდ დადგმული პ. ირეთელის რევოლუციური შინაარსის დრამის „დამარცხებულნის“ დადგმით აღნიშნა და ბილეთები წინასწარ დაარიგა საწარმოებში. დარბაზი გაჭედილი იყო მუშებით, გავრცელდა პროკლამაციები. წარმოდგენა პირველი მაისის დღესასწაულად იქცა.

ავტორს დიდი შრომა გაუწევია ავლაბრის სახალხო თეატრის ისტორიის აღსადგენად ცალკეულ პირთაგან, მუშათა ძველ ოჯახებში ცნობების შესაკრებად. ეს ჭეშმარიტად დიდი ღვაწლია; მოგეხსენებათ, ავლაბრის სახალხო თეატრებს არავითარი არქივი არ ჰქონიათ და არც დაუტოვებიათ, ხოლო ქართული თეატრის ისტორიის საცავში, თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმში მასალები სახალხო თეატრებზე, სამწუხაროდ, არც თუ უხვად მოიძებნება.

წიგნში მოყვანილია ხარფუხის რევოლუციამდელი სახალხო თეატრის ისტორიაც, რომელიც ავლაბრის სახალხო თეატრის მხარდაჭერითა და დახმარებით დაარსდა 1911 წელს გიორგი შათირიშვილის ხელმძღვანელობით. ამ თეატრში აქტიურად მოღვაწეობდნენ გიორგისავე შვილები — არჩილი, შალვა და ელიზბარი, აგრეთვე დ. მელაშვილი, ე. კულულაშვილი, ვ. და ე. ჯორჯიაშვილები და სხვანი. თეატრის რეჟისორი პირველ ხანს ს. პეპანოვი იყო.

წიგნი გვაცნობს 1919 წელს ორთაჭალაში დაარსებულ კლუბის ისტორიას, რომელიც შემდეგ მეტყავეთა პროფკავშირის კლუბად გადაკეთდა და აქ მეტად საინტერესო მუშაობა წარმოებდა. აქვეა აღწერილი ისტორია ნავთლუღის მუშათა კლუბისა, რომლის მემკვიდრეა ამჟამად ნავთლუღის რკინიგზის კულტურის სახლი.

ავტორი მოგვითხრობს გორკის სახელობის კულტურის სასახლის ისტორიას. (დიდი მწერლის მაქსიმ გორკის სახელი მას თბილისში მ. გორკის ჩამოსვლისას, 1929 წელს მიენიჭა. იგი საქართველოში ერთ-ერთი უძლიერესი კულტურული დაწესებულებაა, სადაც სამი ათასამდე წევრი 40-მდე მხატვრულ თვითმოქმედ წრეშია გაერთიანებული. ამ სასახლის ისტორია იმიტომაც მოვიხსენიეთ, რომ თავის დროზე აქ განაგრძეს მოღვაწეობა ავლაბარ-ხარფუხის სახალხო თეატრების მოღვაწეებმა: ე. კულულაშვილმა, ე. შათირიშვილმა, დ. ჩაჩანიძემ, გ. ჟუჟუნაშვილმა, დ. ლაფერაშვილმა, დ. თვალჭრელიძემ და სხვებმა. გარდა ამისა, სასახლის მუშაობის განხილვა სახალხო თეატრებთან შედარების თვალსაზრისითაც საინტერესოა, რათა კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, თუ რა უსაზღვროდ გაიზარდა საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობის შედეგად თვითმოქმედი ხელოვნება.

წიგნი უხვად არის ილუსტრირებული ფოტოებით, რომლებიც ავტორმა თეატრის, მუსიკისა და კინოს არქივიდან მოიპოვა. თამარ გომართელმა ბევრი იშვიათი ფოტოც შეკრიბა სხვადასხვა პირთაგან თუ ოჯახებიდან. ეს ფოტოდოკუმენტები დღეს ძვირფასია ქართული სახალხო თეატრის ისტორიისათვის.

თამარ გომართელი კვლავ განაგრძობს ძიებას. იგი ავჭალის აუდიტორიის სახალხო თეატრისა და ზუბალაშვილების სახალხო სახლთან არსებული ქართული წარმოდგენების მმართველი წრის ისტორიის შესწავლას შესდგომია. ვუსურვოთ წარმატებით დააგვირგვინოს ეს საქმეც.

**გუგული გუხნიკაშვილი,**
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

## დილარ ივარდავა

### ოდოია

თითქოს ირწევა მიწა ბუბუნით,
ასე იწყება საბედნიეროდ, —
მზის თოკებით ხარ სულში დაბმული,
ჭანგო ხმიერო,
ფესვო ხნიერო!
მე მიხარია,
გადავიტანეთ
ძნელბედობა და ჟამთა კირთება, —
ამ დღემდე ჩემი მაღალი ტანი
მოიტანე და ახლა ვინთები.
გაუწყვეტელო ჭანგო კოლხურო,
შენ ოდოიავ, ოდითგან მშველი, —
ვარ სიყვარულით შენზე მომხდური,
ხარ ფესვი ჩემი,
ვარ სისხლი შენი.

### დედა

ბარიკადებზე დაეცა დედა,
ბარიკადებზე დაეცა ქალი.
ჩვილის ალერსი წაართვა ბედმა
და...
მოიხადა საქვეყნო ვალი.

ხარაჩოებთან კვლავ დადგა ქალი,
ქალი, რომელსაც ეძახდნენ დედას,
დიად შრომაში იმედი ხვალის
თვალწინ ჩაუქრობ სინათლედ ედგა.

და შენდებოდა ქვეყანა ჩვენი
მამებთან ერთად დედის ხელებით,
ღრუბლების ნაცვლად
ღიმილის მჩენი
ცას აელანძენ ცისარტყელები.

უეცრად ტყვიის მოვარდა დელგმა,
სიკვდილს ეგონა სიცოცხლეს სძლევდა,
ეგონა, მაგრამ
არა და ვერა! —
შაშხანით ხელში
კვლავ აღსდგა დედა!

დედა, რომელიც ნათელ ჭაღარით,
გზას უნათებდა ლომგულ ვაჟკაცებს,
და ვერ აჩეხეს ჩვენი ბაღნარი
და ვერ გაგვთელეს,
და ვერ დაგვაშრეს!

დედავ მაღალო,
დედავ ნათელო!
სიცოცხლეს შენი სიცოცხლე იხსნის,
როგორ აგვიკლონ,
როგორ გაგვთელონ,
სანამ ძარღვებში ხმაურობს სისხლი.

სანამ დიდება შენი ხმიანობს,
სანამ არსებობს სახელი „დედა“,
სანამ მიწაზე ადამიანებს
ძალგვიძს ღიმილი,
ტკივილი,
სევდა.

უფრო ვმაღლდები, როდესაც ვხედავ
სიამით როგორ გიცინის თვალი, —
შენ გქვია დედა,
შენ გქვია დედა,
ყველაზე წმინდა სახელი ქალის!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქალთა უფლებებისათვის მებრძოლი

ახლა, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად ემზადება, მოკრძალებით მოვიგონებთ რევოლუციისათვის თავდადებულ მებრძოლებს. მათ შორის საპატიო ადგილი უჭირავს ძველ ბოლშევიკს, 1924 წლიდან სკკპ წევრს ევგენია შვანგირაძეს, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სოციალისტური წყობილების აშენებასა და აყვავებას მოახმარა.

1921 წლის ათი მარტი.

წითელი ჯარის ნაწილები და პარტიზანები უბრძოლველად შევიდნენ ქუთაისში.

ევგენია შვანგირაძე მაშინ ოცდაორი წლის ქალიშვილი იყო. როგორც ყველა რევოლუციონერი, ისიც ოცნებობდა ძველის ნგრევასა და ახალი სოციალისტური წყობილების შექმნაზე, რომელიც ადამიანებს ნანატრ თავისუფლებას მოუტანდა. მას მარიამ და მამია ორახელაშვილებმა გულდასმით აუხსნეს, თუ რა მოჰქონდა რევოლუციას და სოციალიზმს.

ევგენია კომუნისტური პარტიის ერთგული მსახური გახდა. იგი ცნობილი იატაკქვეშელი ბოლშევიკის კატო მიქაძის მეთვალყურეობით იწრთობოდა, როგორც სოციალიზმის საქმისადმი თავდადებული მებრძოლი. მიზანსწრაფვა, საზოგადოებრივი საქმისადმი თავდადება, ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლა — აი რა ახასიათებდა ევგენია შვანგირაძეს ქუთაისის ახალგაზრდათა წრის წევრს.

ქალთა განყოფილებებმა სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობაში დიდი როლი შეასრულეს. განყოფილებები მუშა და გლეხ ქალთა შორის ეწეოდნენ აღმზრდელობითს მუშაობას, აბამდნენ მათ სამეურნეო მშენებლობაში.

დადგა ოცდაათიანი წლები — კოლმეურნეობების შექმნის წლები. ევგენია შვანგირაძე მაშინ ქუთაისის პარტიული კომიტეტის ქალთა სექტორის გამგე იყო. ყველა სიახლეს, რაგინდ პროგრესულიც უნდა იყოს იგი, წინააღმდეგობები ეღობება, ასე იყო მაშინაც. ინგრეოდა საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული წეს-ჩვეულებები, ისპობოდა დაქუცმაცებული კერძო მეურნეობები. უჭირდათ ახლად შექმნილ კოლექტიურ მეურნეობებს. პარტია კომუნისტი ქალებისაგან მოითხოვდა მთელი გულისყური გლეხ ქალთა შორის მუშაობისათვის მიეპყროთ. ამ მოვალეობას ქუთაისის პარტიული კომიტეტის ქალთა სექტორი ევგენიას უშუალო ხელმძღვანელობით ახორციელებდა. ქუთაისელ ქალთა შორის მომუშავეებს დიდ სტიმულს აძლევდა ვ. ჯაფარიძის, ვ. ჯიქიას, შ. შულგინას, ლ. ანდრიაძის, ნ. ჯიბუტის, ო. საბაშვილისა და სხვათა პირადი მაგალითი.

ევგენიას დიდი ნდობა გამოუცხადა პარტიის ქუთაისის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელობამ, როცა წყალტუბოში ერთი თვით სამკურნალოდ ჩამოსული ცნობილი გერმანელი რევოლუციონერი მაქს ჰელცი ჩააბარეს.

ქუთაისის პარტიის რაიონულ კომიტეტთან არსებული ქალთა სექტორის გამგე ევგენია შვანგირაძე ამავე დროს იყო პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრი, საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, პარტიული კონფერენციებისა და ყრილობების დელეგატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მას ღირსეული ადგილი უჭირავს საქართველოს რევოლუციური წარსულის გმირულ მატიანეში.

**ნანული ბუკია**

# საზეიმო სუფრა

## ნიგვზის ტორტი

რვა კვერცხის გული 250 გრამ შაქართან ერთად გათეთრებამდე ათქვიფეთ. ათქვეფილ მასაში აურიეთ: ხორცსაკეპ მანქანაში გატარებული 300 გრამი ნიგოზი, 175 გრამი დაფქვილი ორცხობილა, მარილი დანის წვერით, ძალიან მაგრად ათქვეფილი რვა კვერცხის ცილა (ცილა ისე უნდა ათქვიფოთ, რომ ღრუბელივით დადგეს და, ჭურჭელი რომ გადმოაბრუნოთ კიდეც, არ გადმოვარდეს).

როცა ყოველივეს ფრთხილად ერთმანეთში აურევთ, მიღებული ცომი ჩაასხით ცხიმწასმულ, ორცხობილამოფრქვეულ ყალიბში და შედგით ცხელ ღუმელში გამოსაცხობად. ცეცხლი 5-7 წუთს ძლიერი უნდა იყოს, შემდეგ კი ძალიან დაუწიეთ და აცხვეთ 30-35 წუთის განმავლობაში.

მიღებული ბისკვიტი გაჭერით 2-3 ფენად და თქვენთვის სასურველი კრემით მორთეთ (უმჯობესია კაკაოს ან ყავის კრემი), ზემოდან და გვერდებზე მოაწყეთ დაჭრილი ნიგოზი.

## იდეალი

ექვსი კვერცხი ცილიანად ათქვიფეთ ჭიქანახევარ შაქარში, დაუმატეთ სამი სუფრის კოვზი თაფლი, 1 ჭიქა ხორცსაკეპ მანქანაში გატარებული ნიგოზი, ცოტა მარილი, ვანილი. ყველაფერ ამას შეაზილეთ ფქვილი ისე, რომ ფაფუკი ცომი გამოვიდეს. ცომი გაყავით ორად. თითოეული გააბრტყელეთ წყალში დასველებული ხელით, ცალ-ცალკე მოათავსეთ კარაქწასმულ ფირფიტებზე და გამოაცხვეთ ნელ ცეცხლზე. როცა გამოცხვება დანით გადმოიღეთ და შეაგრილეთ.

ნამცხვრისათვის კრემი შემდეგნაირად მოამზადეთ:

ორი ქილა შესქელებული რძე ქილიანად ადუღეთ 3 საათი. შემდეგ გააგრილეთ, გახსენით ქილები, გადმოიღეთ ცივი რძე და შეაზილეთ 300 გრამი კარაქი. ამ მასაში აურიეთ 1 ჭიქა გატარებული ნიგოზი. მიღებული კრემი წაუსვით ერთ ფენას, ზედ დაადეთ მეორე ფენა, და მორთეთ კრემით, ზემოდან მოაყარეთ დაფშვნილი ჩამონაჭრები.

## ქოჩეფინა

ერთი მთლიანი კვერცხი ათქვიფეთ ერთ ჭიქა შაქარში. მიუმატეთ ერთ სუფრის კოვზ ძმარში გახსნილი ნახევარი ჩაის კოვზი სოდა, 200 გრამი დარბილებული კარაქი, და გულდასმით აურიეთ. მასში ჩაყარეთ ორიორნახევარი ჭიქა ფქვილი და მოზილეთ ცომი. მიღებული ცომი გაყავით 3-4 ნაწილად, თითოეული გამოაცხვეთ კარაქწასმულ მრგვალ ფორმაში, ბოლო ფენა მოიტოვეთ მოსაფშვნელად და მოსაყრელად. ფორმიდან ამოღებული ფენები შეაგრილეთ და თითოეულს წაუსვით კრემი. კრემწასმულ ბოლო ფენას მოაყარეთ დაფშვნილი მასა.

ნამცხვრისათვის კრემი მოამზადეთ შემდეგნაირად:

გააკეთეთ კვერცხის გოგლიმოგლი (ოთხი კვერცხის გული და ერთი მთლიანი კვერცხი). ნახევარ ჭიქა შაქრით.

უყავით გოგლიმოგლს 2 სუფრის კოვზი პურის და 2 სუფრის კოვზი კარტოფილის ფქვილი. 1 ლიტრ ადუღებულ რძეში გახსენით 1 ჭიქა შაქარი. რძე შეაგრილეთ, თანდათანობით ჩაასხით მასში გოგლიმოგლი და განუწყვეტელი რევით მიიყვანეთ ადუღებამდე.

როცა კრემი გაცივდება, შეაზილეთ 100 გრ. კარაქი და უყავით ვანილი.

ლ. ჯიბლაძე

## ხორციანი ღვეზელი

ნახევარი ჩაის კოვზი სოდა, 3 ჩაის ჭიქა პურის ფქვილი და 300 გრ ცივი კარაქი კარგად დაკეპეთ ან ხელით აფშხვენით, ვიდრე ერთგვაროვან სახეს არ მიიღებს. მოათავსეთ სუფთა ფიცარზე, შუაში ჩააღრმავეთ, ჩაასხით შიგ ნახევარი ჩაის კოვზი მარილითა და ერთი სუფრის კოვზი ძმრით შეზავებული 1 ჩაის ჭიქა წყალი და მოზილეთ ცომი. მოზელილი ცომის გუნდა მოათავსეთ მაცივარში 30 წუთით (არ გაყინოთ).

300 გრ მოხარშული ძროხის ხორცი და ერთი თავი ხახვი გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, მოათავსეთ ტაფაზე, დაუმატეთ ცხიმი და მოშუშეთ. ხანგამოშვებით ერთიორი სუფრის კოვზი ცხელი ბულიონი ან წყალი დაასხით ხოლმე. შუშვის დასასრულს უყავით (გემოვნებით) მარილი და დაფქული შავი პილპილი. მზა სატენი შეაგრილეთ, აურიეთ შიგ მაგრად მოხარშული, წვრილად დაჭრილი 2 ცალი კვერცხი.

მაცივრიდან გამოიღეთ ცომი, გააბრტყელეთ, მოათავსეთ ზედ გამზადებული ხორცის სატენი (ერთ ფენად), დაახვიეთ მილისებურად, დაჭერით და გამოაცხვეთ. თუ გსურთ, გამოცხობამდე ცომს ზემოდან წაუსვით რძეში ან წყალში ათქვეფილი კვერცხის გული.

## ქოთნის წიწილა

გასუფთავებული, გარეცხილი ერთი საშუალო სიდიდის ვარია ასო-ასო აჭერით. ქოთანში მოათავსეთ კანგაცლილი დაჭრილი პამიდორი (500 გრ), ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი (3-4 თავი) და მოაყარეთ მარილი. ზემოდან დააწყეთ დაჭრილი ვარია, ჩაყარეთ წვრილად დაჭრილი ქინძი (8 ღერი), კამა (5 ღერი), ქონდარი (6 ღერი), ოხრახუში (4 ღერი) და დაუმატეთ ძალიან ცოტა მარილი, დანაყილი ნიორი (3 კბილი) და წიწაკა. ზემოდან რამდენიმე ადგილას მოათავსეთ კარაქის ნაჭრები (150-200 გრ), დაახურეთ სახურავი და შუშეთ ძალიან ნელ ცეცხლზე,

ეს კერძი შეიძლება სქელძირიან ქვაბშიც მომზადდეს.

## აფხაზურა

ერთი ცხვრის ან ბატკნის ღვიძლი, გული, ფილტვები, თირკმელები კარგად გარეცხეთ, დაჭერით საშუალო სიდიდის ნაჭრებად, მოაყარეთ გემოვნებით მარილი, დაფქული პილპილი, წვრილად დაჭრილი ხახვი და ცოტა ხანს გააჩერეთ. შემდეგ მოათავსეთ ცხიმიან ცხელ ტაფაზე და შეწვით შეწითლებამდე, გარეცხილი, გასუფთავებული ბატკნის ან ცხვრის ბადექონი დადეთ სუფთა ფიცარზე, გაშალეთ, ზედ დაალაგეთ გამზადებული შიგნეული, კარგად შემოახვიეთ ბადექონი, შეკარით წმინდა კანაფით, მოაყარეთ მარილი, მოათავსეთ ცხელ, ცხიმიან ტაფაზე და კარგად შეწვით. მზა კერძი დაჭერით, მოაყარეთ ბროწეულის მარცვლები ან კოწახური, წვრილად დაჭრილი მწვანე ხახვი (გემოვნებით), მორთეთ ოხრახუშის ფოთლებით და სუფრაზე ცხელი მიიტანეთ.

თამარ სულაქველიძე

# ბოსტნეულის ყადრი

განუზომელია ბოსტნეულის სიკეთე. იგი შეიცავს: შაქრებს, ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, მარილებს, ორგანულ მჟავეებს, ვიტამინებს, სურნელოვან ნივთიერებებს, ფერმენტებს...

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის კვების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ დადგენილია, რომ ადამიანმა წელიწადში საშუალოდ 188 კილოგრამი ბოსტნეული უნდა მიიღოს. წლის ყველა დროს ქორფა ბოსტნეულის მოხმარება ერთნაირი არ არის. ზამთარში და ადრე გაზაფხულზე მისი გამოყენება მინიმუმს, ხოლო ზაფხულში და შემოდგომით მაქსიმუმს უახლოვდება.

**თეთრთავიანი კომბოსტო.** თეთრთავიანი კომბოსტო უძველესი კულტურაა. ვარაუდობენ, რომ მას ჩვენს წელთაღრიცხვამდე 50-100 ათასი წლის წინათ იყენებდნენ საკვებად. ბოსტნეულთა შორის თეთრთავიან კომბოსტოს დიდი ხვედრითი წონა გააჩნია. კომბოსტოს იყენებენ სამკურნალოდაც.

ჰიპოკრატე და გალენი დიდად აფასებდნენ ბოსტნეულის სამკურნალო თვისებებს. პროფ. პ. ლეპორსკი აღნიშნავს, რომ სახალხო მედიცინა წინათ ყოველგვარ დაავადებას ბოსტნეულით მკურნალობდა, ამტკიცებს, რომ კომბოსტო იცავს ადამიანს გადამდები სენისაგან. აადვილებს მშობიარობას, მეძუძურ ქალებს უდიდებს რძეს, აუმჯობესებს ხორცის მონელებას, ხელს უწყობს ჭრილობების შეხორცებას, კურნავს წყლულსა და სიდამწვრეს, აქრობს ანთებით პროცესებს, აფხიზლებს მთვრალ ადამიანს და ა. შ.

გამოჩენილი მხედართმთავრის ალექსანდრე მაკედონელის აზრით კომბოსტო მეომრებს მამაცობას, სიფხიზლეს, უშიშროებას ანიჭებს. პითაგორას განმარტებით კომბოსტო ადამიანს ამხნევებს, ამშვიდებს, ამხიარულებს.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ბ. ალექსეევის განმარტებით ახალი კომბოსტოს წვენს კოსმეტიკაშიც იყენებენ.

კომბოსტოს ქიმიური შემადგენლობა დამოკიდებულია ჯიშსა და მოვლა-მოყვანის პირობებზე. მისი ქიმიური შემადგენლობა მემცენარეობის სრულიად საკავშირო ინსტიტუტის ბიოქიმიური განყოფილების მრავალი წლის გამოკვლევებით ასეთია: მშრალი ნივთიერება — 8,5%, წყალი 91,5%, მინერალური ნივთიერებანი 0,7%, შაქარი 4,2%, ცილები 1,44% ორგანული მჟავეები 2,2%, უჯრედისი 0,9%. საკმაოდ დიდი რაოდენობით არის მასში ვიტამინი C, რომლის შემცველობა 20 მილიგრამ პროცენტიდან 70 მილიგრამ-პროცენტამდე ცვალებადობს. კომბოსტო შეიცავს აგრეთვე $B_1$, $B_2$, $B_3$, K, P, PP, Д, E და სხვა ვიტამინებს. კომბოსტოს მწვანე ფოთლებში გვხვდება აგრეთვე კაროტინი (A პროვიტამინი).

მინერალურ ნივთიერებათაგან კომბოსტოში ჭარბობს კალიუმი, გოგირდი, ნატრიუმი და ფოსფორი.

იმის გამო, რომ კომბოსტო მცირე რაოდენობით შეიცავს ნახშირწყლებს და ნაკლებ კალორიულია, მას სთავაზობენ სიმსუქნით და დიაბეტით დაავადებულთ. თანამედროვე მედიცინაში კუჭნაწლავის წყლულოვანი დაავადებების დროს ნედლი კომბოსტოს წვენის მიღებას ურჩევენ.

კომბოსტო საკმაო რაოდენობით შეიცავს კალიუმს, ამიტომ სასურველია მისი მიღება მათთვის, ვისაც გული და თირკმელები დაავადებული აქვთ.

თეთრთავიანი კომბოსტოს ნედლად მიღება ძალიან სასარგებლოა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სხვა ბოსტნეულის სიმცირეა. ამიტომ მისგან ხშირად ამზადებენ სალათებს.

როგორც ჯანმრთელი, ასევე ავადმყოფი ადამიანის საკვებად წარმატებით იყენებენ კომბოსტოს მწნილს. დადგენილია, რომ მასში შემავალი ორგანული მჟავეები აძლიერებს კუჭის წვენის და ნაღვლის წვენის გამოყოფას, რაც თავისთავად აღვიძებს მადას და ხელს უწყობს საკვების უკეთ მონელებას.

**ყვავილოვანი კომბოსტო.** კომბოსტოსნაირ მცენარეთა შორის ყველაზე ძვირფასია ყვავილოვანი კომბოსტო. მისგან ამზადებენ წვნიან კერძებს. მარილწყალში მოხარშულს წვავენ ერბო-კარაქში. აკეთებენ მხალს, გარნირს. ვიტამინების, შაქრების და მინერალური მარილების სიუხვისა და უჯრედისის სიმცირის გამო ყვავილოვანი კომბოსტო ძვირფასი საკვებია ავადმყოფებისა და ბავშვებისათვის.

ყვავილოვანი კომბოსტოს ქიმიური შემადგენლობა მემცენარეობის სრულიად საკავშირო ინსტიტუტის ბიოქიმიური ლაბორატორიის მონაცემებით ასეთია: მშრალი ნივთიერება — 9,6%, შაქარი 3,1% ცილები — 4,3%, ვიტამინი C 64,5% მილიგრამ პროცენტი, უჯრედისი — 1,2% და სხვა. მასში დიდი რაოდენობითაა ვიტამინი C (50-64 მგ. ) იგი საკმაო რაოდენობით შეიცავს $B_1$, $B_2$, K, P, PP, Д, და E ვიტამინებს.

მინერალური მარილებიდან მასში ჭარბობს კალიუმი. საკმაოა გოგირდის, ნატრიუმის, ფოსფორის და სხვა მარილები. იმის გამო, რომ იგი ნაკლებ კალორიულია, მას ურჩევენ სიმსუქნითა და დიაბეტით დაავადებულთ.

**კეჟერა.** კეჟერა გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით, გურია-სამეგრელოში, აჭარასა და იმერეთში. კეჟერა უკეთ იტანს დაბალ ტემპერატურას, ამიტომ მოსავლის აღება და მისი მოხმარება გვიან შემოდგომით ან ზამთრის პირას იწყება. მასზე დადებითად მოქმედებს დაბალი ტემპერატურა.

კეჟერას ფოთლები და გამსხვილებული ღერო სხვა სასარგებლო ნივთიერებებთან ერთად უხვად შეიცავს C ვიტამინს (101 მგ%), მინერალურ მარილებსა და სხვას. მისგან ამზადებენ ვიტამინებით მდიდარ მხალსა და მწნილს. დამუშავებისას კეჟერას უჯრედების აპკი ფხვიერდება და უფრო ადვილი მოსანელებელი ხდება. მასში არსებული ორგანული მჟავეები აძლიერებს კუჭის წვენისა და ნაღვლის წვენის გამოყოფას, რითაც უმჯობესდება მადა და მიღებული საკვების მონელება.

ისარგებლეთ კომბოსტოსნაირ მცენარეთა სიკეთით.

**შ. ოზოლაძე**

ყარეკანის პირველ გვერდზე—ვ. ი. ლენინი. ყარეკანის მეოთხე გვერდზე—გ. პაპიაშვილის ფერადი სლაიდი „გაზაფხული".


რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი)
ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 5/III-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/IV-77 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90 \, ^1/_3$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3 ტირაჟი 121 500. შეკვ. 827. უე 00664 ფასი 30 კაპ.



ფოტო ვ. ბენბიურისა

# პროფესიის ერთგული

„მე გადავწყვიტე, თუ ოდესმე პედაგოგი გამოვალ, ისეთი ვიყო, როგორიც ნინო მასწავლებელია“ — ასე დაიწყო თავისუფალი თემა ნინო ფარქოსაძის ერთ-ერთმა მოსწავლემ. ეს იმას ნიშნავს, რომ პედაგოგს ჭეშმარიტ პროფესიონალიზმთან ერთად ავტორიტეტი დიდი აქვს მოხვეჭილი და პედაგოგიური მოვალეობის ღრმა შეგნებით უნერგავს მუსიკალურ ცოდნას ახალგაზრდობას.

ნინო ფარქოსაძე ცნობილი ქართველი ჟურნალისტისა და მთარგმნელის — გრიგოლ (გუცა) ფარქოსაძის ქალიშვილია. მათი ოჯახი, თავის დროზე, ქუთაისში კულტურის ერთ-ერთი თავისებური კერა იყო: აკაკი წერეთელი, დავით კლდიაშვილი, ვარლამ რუხაძე და ახალგაზრდა გალაკტიონი ამ კერის ხშირი სტუმრები იყვნენ. გოგონა თავადაც წერდა ლექსებს. „უპირველესად მუსიკა, ლექსის ტემბრი და ბუნება, გულდაოკება ქარიშხლის, თუ მძაფრი შემობრუნება“—ეს ტაეპი გალაკტიონ ტაბიძეს მიუძღვნა და მისი წაქეზებაც ხვდა წილად, მაგრამ... ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეთა ერთ-ერთ კონცერტზე ნინოს მუსიკალური ნიჭი აღიარა კომპოზიტორმა მელიტონ ბალანჩივაძემ და კონსერვატორიაში სწავლის გაგრძელება ურჩია.

1936 წელს ნინო ფარქოსაძე პროფესორ ილია აიზბერგის კლასში ჩაირიცხა. ნინომ პირველ გაკვეთილებიდანვე იგრძნო პედაგოგის შემოქმედი ძალა და თავს ბედნიერად გრძნობდა, ბედმა რომ ასე გაუღიმა. საყვარელმა მასწავლებელმა ახალგაზრდა მუსიკოსს პედაგოგის პროფესიაც შეაყვარა და ნინო ფარქოსაძე დღემდე ამ პროფესიის ერთგულია. ყველგან, სადაც კი მოუხდა მას მუშაობა, — ნინო პროფესიონალიზმის მაღალი დონით, ცოდნითა და გამოცდილებით გამოირჩეოდა. „მან გაჯავრებაც იცის, — ვკითხულობთ იმავე მოსწავლის თემაში ,— მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს საჭიროა. ჩვენც ვცდილობთ არ ვაწყენინოთ, რადგან ნინო მასწავლებელს არაჩვეულებრივად უყვარს თავისი პროფესია, თავისი საქმე“.

ეს ბავშვური გულწრფელობა მრავალ შექებაზე დიდია.

ამჟამად ნინო ფარქოსაძე პირველი მუსიკალური სასწავლებლისა და ევგენი მიქელაძის სახელობის მე-9 მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგია. სკოლის კოლექტივს დიდი ურთიერთობა აქვს ჩვენი ქვეყნისა და დემოკრატიული ქვეყნების მუსიკალურ სასწავლებლებთან. ნორჩი შემსრულებლები ხშირად გამოდიან ერევანში, ბაქოში, რიგაში, მოსკოვში და მრავალჯერ უსახელებიათ თავიანთი სკოლა და მასწავლებელი.

ნინო ფარქოსაძის შრომა დაფასებულია: დაჯილდოებულია საპატიო სიგელებით, მედლებით. მისი დაუღალავი ენერგია, დიდი პედაგოგიური ალღო და გამოცდილება კიდევ ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდა მუსიკოსს გაუზრდის საბჭოთა ქვეყანას.

**ნინო ჩიხლაძე**



индекс 76178